ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## რატომ არ გვიღებენ ნატოში



მამუკა გვაძაბია: „საქართველოდან ალიანსზე სერიოზული ინფორმაციები ჟონავს“

გვ.4

1 აგვისტოდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




ორშაბათი, 7 აგვისტო, 2017 №185 (7420) ფასი: 50 თეთრი

# მიანიჭებს თუ არა მარგველაშვილი სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობას



გვ.4

უკრაინელი მესაზღვრეები ექსპრეზიდენტს მანქანის საბარგულში ეძებდნენ



## „საქართველოს საზღვრებს რუსები აკონტროლებენ“

მეგი გოცირიძე: „საქართველო მოსკოვის გარეუბნად გადაიქცა“




გვ.3

## რამაზ საყვარელიძე: „ელისაშვილისთვის მეორე ადგილი გამარჯვება იქნება“

გვ.2

„ორი არჩევანის ტაქტიკა, ან ნაციონალები, ან „ოცნება“, ველარ იმუშავებს. ახალი სტრატეგიის მოფიქრება მოუწევს „ქართულ ოცნებას“. თუმცა, ვნახოთ, როგორი იქნება საარჩევნო კამპანია“





## „ავღანეთში დაღუპულ სამხედროზე თავდაცვის სამინისტრომ განმარტებები უნდა გააკეთოს“

გვ.2

რა პრეტენზიები აქვს სამხედრო ექსპერტს



## დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას აფრთხილებს

გვ.7

ISSN 1987-9385



## პუტინი აფხაზეთში ვითარების გართულების ფონზე ჩადის

გვ.5

აშშ-სთან კონფლიქტის ცხელ ფაზას ირანიც უახლოვდება

# რამაზ საყვარელიძე: „ელისაშვილისთვის მეორე ადგილი გამარჯვება იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის მერის არჩევნებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, ოპოზიციური პარტიების ნაწილი შიდა პრაიმერის ჩატარების იდეით გამოდის, რომ ოპოზიციას თბილისის მერის არჩევნებში საერთო კანდიდატი ჰყავდეს. რამდენად შეძლებს ოპოზიცია საერთო კანდიდატზე შეთანხმებას?***

– პირველი, ასეთი შეთანხმება ალბათ ძალიან გაუჭირდებათ, რადგან საერთო კანდიდატზე შეთანხმება უკვე დაგვიანებულია და მეორე, ასეთი გადათამაშება ყოველთვის არ არის შედეგის მომტანი.

***– რატომ?***

– რადგანაც ვიღაცა მხარს უჭერს ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მხარს არ უჭერს, მაგალითად, პატრიოტთა ალიანსს ან ევროპულ საქართველოს და პირიქით. ამიტომ ვამბობ, რომ ხშირად შეიძლება ასეთი ერთობა წამგებიანიც კი იყოს, მათი გაერთიანება გამოიწვევს ხმების დაკარგვასა და გაფანტვას. ეს სტრატეგია გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ელექტორატს მკვეთრად აქვს გადაწყვეტილი მმართველი პარტიის მოშორება.

***– როგორც ეს იყო 2012 წელს?***

– დიახ, სწორედ ასეა, როდესაც ამომრჩეველს სხვა მოტივი არ გააჩნია, როდესაც ის მიდის საარჩევნო ურნასთან, მისი მოტივი მხოლოდ ერთადერთია, მოიშოროს მმართველი ძალა თავიდან. ეს ჩვენ კარგად ვნახეთ. დღეს მსგავსი პოლიტიკური სურათი ნამდვილად არ გვაქვს.

***– ვაშაძე ამბობს, პირველივე ტურში გაიმარჯვებს კალაძე, თუ გათითოკაცებული გავალთ და, თუ გავერთიანდებით, მეორე ტურის დიდი შანსია. ლოგიკური არ არის?***



– ისე, უნდა ითქვას, რომ მართლაც რთული არჩევნები იქნება, რამდენადაც სიტუაციაა ცოტა უფრო რთული. წინა არჩევნებში მხოლოდ ორი ალტერნატივა იყო ნაციონალები და „ოცნება“. ეს მოცემულობა სახელისუფლებო პარტიას, რასაკვირველია, პოზიციებს უმტკიცებდა. ამ პირობებში ამომრჩეველმა მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო და ხელისუფლებამაც არხეინად მიუშვა პროცესი მეორე ტურამდე, რადგან კარგად იცოდა, რომ მეორე ტურში მას ბევრად მეტი ამომრჩეველი ეყოლებოდა, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას. გაიხსენეთ მაჟორიტარული არჩევნები, ლამის ყველგან მეორე ტური დაინიშნა. მეორე ტური ხელისუფლებისთვის უფრო შთამბეჭდავი გამარჯვების წინაპირობა იყო და არა დამარცხების, გაჭირვებით მოგების. ახლა მოცემულობა რადიკალურად არის შეცვლილი.

***– თუ მეორე ტური იქნება, ვის და ვის შორის ელოდებით?***

– მეორე ტური თუ იქნება, იქნება სახელისუფლებო კანდიდატსა და ელისაშვილს შორის, როგორც დამოუკიდებელ კანდიდატს შორის. დღეს, ის ამომრჩეველი, რომელიც კვლავ ორჭოფობს და გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ელისაშვილის ამომრჩეველი გახდეს. ამდენად, ელისაშვილის ფიგურა არ იძლევა პოლარიზების, ორად გაყოფის შესაძლებლობას, მაგალითად, ნაციონალებისა და „ოცნების“. ხაზს ვუსვამ, ელისაშვილის ფიგურა და არა სხვა კანდიდატები, რადგან ისინი არ აღიქმებიან, როგორც სხვა, თუ არა ნაციონალების კანდიდატები.

***– ელისაშვილმა აქცენტი სწორედ იმ ხალხზე უნდა გააკეთოს, რომლებსაც ჯერ არ აქვთ არჩევანი გაკეთებული?***

– რა თქმა უნდა, რადგან ის არცერთი პარტიის კანდიდატი არ არის. გადაწყვეტილება კი არ აქვს მიღებული იმ ელექტორატს, რომელიც არცერთ პარტიას არ უჭერს მხარს. ელისაშვილი მუშაობს იმ ხმებზე, რომლებისთვისაც პარტია მიუღებელია, არცერთი პარტია არ არის პოპულარული. ეს კი თავისთავად ახალ პირობას უქმნის „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც. ამიტომ მე მეეჭვება, რომ „ქართული ოცნება“ იმავე სტრატეგიით შევიდეს ამ არჩევნებში. ამჟამად „ქართულ ოცნებას“ უფრო გამოკვეთილი ექნება ბრძოლის ჟინი და ამიტომ მეეჭვება, რომ მეორე ტურამდე მიიყვანოს საქმე. გადაწყვეტილება იქნება, ყველაფრის დამთავრება პირველივე ტურში.

***– ორი არჩევანის ტაქტიკა, ან ნაციონალები, ან „ოცნება“, უკვე აღარ იმუშავებს?***

– არა, ველარ იმუშავებს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ახალი სტრატეგიის მოფიქრება მოუწევს „ქართულ ოცნებას“. თუმცა, ვნახოთ, როგორი იქნება საარჩევნო კამპანია. წესით, საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ ლამის ყოველ კვირა უნდა ჩატარდეს სოციოლოგიური კვლევები, რომ გაიგონ კანდიდატებმა, კამპანიის ესა თუ ის კომპონენტი როგორ მოქმედებს. თუკი აღმოჩნდა, რომ კამპანიის პროცესში „ქართული ოცნება“ არ მიიწევს წინ ისე ენერგიულად, როგორც ეს განზრახული იყო, მაშინ ბევრი რამის შეცვლა მოუწევთ და შესაძლებელია, ახალი სტრატეგიის მოფიქრება გახდეს საჭირო.

***– მთავარი კონკურენტი კალაძისთვის ელისაშვილია თუ უდუმაშვილი?***



– ამ კითხვაზე პასუხიც დიდწილად წინასაარჩევნო კამპანიაზეა დამოკიდებული, მაგრამ, ვინაიდან დიდი პროცენტია დარჩენილი, რომელიც არცერთ პარტიას არ მისცემდა ხმას, ამ ელექტორატისთვის არის შეთავაზებული სწორედ ალეკო ელისაშვილის კანდიდატურა. ამიტომ უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ ამ ორ კანდიდატს შორის იყოს ბრძოლა გამარჯვებისთვის. უდუმაშვილის მხარდამჭერების რიცხვის გაზრდა არ არის მოსალოდნელი, რადგან მას მხარს დაუჭერენ მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მომხრეები.

რაც შეეხება კალაძეს, აქვე უნდა ითქვას, რომ კალაძეს აქვს ბევრი ის უპირატესობა, რომლებიც ელისაშვილს არ აქვს.

***– კონკრეტულად?***

– პირველი, კალაძე არის სახელისუფლებო კანდიდატი. მართალია, საქართველოში პარტიები დიდად არ უყვართ, მაგრამ სახელისუფლებო პარტიას არჩევნებში თავისი უპირატესობა აქვს. არჩევნებს სჭირდება სტრუქტურა, ორგანიზებულობა, რაც შეუძლია პარტიამ გასწიოს ამ დროს. ასევე, კალაძე არის დამოუკიდებელი ფიგურა, თავისი რეიტინგი აქვს. ამდენად, კალაძეს აქვს ის ელემენტებიც, რაც ელისაშვილს აქვს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევნებში ელისაშვილმა რომც არ გაიმარჯვოს, თუ მეორე ტური იქნება და ამ მეორე ტურში გავა ელისაშვილი, ის მაინც გამარჯვებული იქნება.

***– როგორ?***

– ელისაშვილის ძლიერ ფიგურად წარმოჩენა უკვე იქნება იმის ნიშანი, რომ ის სამომავლო პოლიტიკური კარიერისთვის დაიწყებს მზადებას. ეს, თავისთავად, საკმაოდ საინტერესო იქნება.

# „ავღანეთში დაღუპულ სამხედროზე თავდაცვის სამინისტრომ განმარტებები უნდა გააკეთოს“

## რა პრეტენზიები აქვს სამხედრო ექსპერტს

გულიკო ბალაძე

გუშინ, 6 აგვისტოს, ავღანეთიდან კიდევ ერთი ქართველი სამხედრო, მდინარი ბებიაშვილი ჩამოასვენეს. სამხედრო ექსპერტი დავით ნემსაძე „ახალ თაობასთან“ აანალიზებს მომხდარს და მოუწოდებს თავდაცვის სამინისტროს, ამ ფაქტის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას.



***– ბატონო დავით, თქვენი კრიტიკული პოსტი წავიკითხე ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცის დაღუპვასთან დაკავშირებით. რა გაძლევთ კრიტიკის საფუძველს?***

– ახალი არ არის, რომ საქართველოს ჯარი მიდის სამშვიდობო მისიაში და ტერორიზმს ებრძვის. თავდაცვის სამინისტრომ უფრო მეტად უნდა მოჰფინოს ნათელი და საზოგადოებას წარუდგინოს, როგორ მოხდა. შემდეგ მას ექსპერტები შევაფასებთ, დაუშვა თუ არა პატრულმა შეცდომა საპატრულო ღონისძიების დროს. ეს ეხება გარე პატრულს, საყარაულო წესებით დადგენილ ნორმას, რომელსაც გარე პატრული არეგულირებს. გასარკვევია, თავდასხმა რა ვითარებაში მოხდა და რა შეიარაღებით. ჩასაფრება იყო თუ აშკარა თავდასხმა, უნდა გაანალიზდეს. თავდაცვის სამინისტრომ მხოლოდ გამოაცხადა, რომ მოხდა თავდასხმა და არიან დაღუპულები და დაჭრილები. ამ ინფორმაციით ანალიზის გაკეთება გაჭირდება.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ თავდასხმის ადგილზე შეცდომა იქნა დაშვებული, ტერორისტმა მიახლოება რომ შეძლო და ბომბი აამოქმედა?***

– რა თქმა უნდა. როცა კოლონა გადაადგილდება, მით უმეტეს, საპატრულო გადაადგილების დროს, არსებობს დადგენილი წესი, რომელიც საპატრულო გადაადგილების დროს მოძრავმა ეშელონმა უნდა დაიცვას. მაგალითად, საპატრულო ეშელონი უმოტივაციოდ არ უნდა გაჩერდეს. სამარშო გადაადგილების დროს გაჩერება არ შეიძლება. გასარკვევია, რამ გააჩერა კოლონა.

***– ე.ი. კოლონა გაჩერდა და ტერორისტი გაჩერებულ კოლონას თავს დაესხა?***

– ასეთი ფაქტი იკვეთება, რადგან თქვეს, თვითმკვლელი ტერორისტი მოვიდა, შეახტა და თავი აიფეთქაო. როგორ მოხდა ეს? თუ გარკვეული მიმართულებით მოძრავი საპატრულო მანქანისკენ მიემართებოდა პერსონა, ელემენტარულად, უნდა გაეფრთხილებინათ გასროლითა და სხვა ნიშნებით, რომ არ მიუახლოვდეს. საინტერესოა, როგორ შეძლო თვითმკვლელმა პერსონამ მიახლოება საპატრულო ეკიპაჟის ავტოკოლონასთან? რა თქმა უნდა, აქ არის კრიტიკის ნიშნები, რადგან უსაფრთხოების ნორმები იქნა დარღვეული. თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კითხვები ჩნდება.

***– თუ არ იქნებოდა დაშვებული შეცდომა პატრულირების დროს, ასეთი შედეგით არ დასრულდებოდა?***



– დიახ. შეიძლება დანაღმონ, გზა ააფეთქონ და შემდეგ, როცა კოლონა გაჩერდება, ჩასაფრებიდან თავდასხმა მოაწყონ. არსებობს თავდასხმის ასეთი წესი და ავღანელები მას ადაპტირებულად იყენებენ. ავღანელების კარგად დამუშავებული ტაქტიკაა, მაგრამ საპატრულო მანქანებს თვითონ აქვთ რადიოდაზვერვის ხელსაწყოები, რომლებიც წინასწარ იგებენ დამონტაჟებული ნაღმის არსებობას. არა მგონია, ნაღმი ყოფილიყო დამონტაჟებული. როგორც თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, პირმა, რომელიც იყო თვითმკვლელი ტერორორისტი, აამოქმედა ნაღმი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოს საზღვრებს რუსები აკონტროლებენ“

შორენა მარსაგიშვილი




**მეგი გოცირიძე: „საქართველო მოსკოვის გარეუბნად გადაიქცა“**



რატომ მოკლდება მანძილი სოხუმამდე, რა პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოში, რას უკავშირდება საქართველოში რუსი ჩინოსნების გახშირებული სტუმრობა, რა მესიჯები ჩამოვიდა ამერიკიდან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.

***– რამდენიმე დღის წინ საქართველოს რუსეთის დუმის დეპუტატი, პუტინის თანაპარტიელი არტიომ კავინოვი ეწვია. მანამდე ცნობილი გახდა, რომ პატრიოტთა ალიანსმა საქართველოში დუმის დეპუტატი კალაშნიკოვი მოიწვია. თქვენი აზრით, რას უკავშირდება რუსი ჩინოსნების ასეთი ინტერესი?***

– როდესაც საქართველოში კალაშნიკოვის მოწვევის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, მაშინაც დამირეკეთ კომენტარზე და ახლაც იმავეს გავიმეორებ, რაც მაშინ გითხარით – საქართველოს პარლამენტი არის ქოცდუმა რუსეთი დიდი დუმის ფილიალი. ასე რომ, ნუღარ გიკვირთ რუსი პოლიტიკოსებისა და დუმის წევრების ვიზიტები.

***– არტიომ კავინოვი აქ ქართველი დეპუტატების მოწვევით არ ჩამოსულა. ის რუს სასულიერო პირებს ჩამოჰყვა. საპატრიარქოში ამბობენ, რომ ისინი მომლოცველებს სახელებსა და გვარებს არ ეკითხებიან.***

– მეც უცბად დავიჯერე, რომ საპატრიარქოში არ იცოდნენ, რომ თბილისში რუსეთის დუმის დეპუტატი ჩამოდიოდა. რუსი დეპუტატების საქართველოში სიარული უკვე აღარ მაკვირვებს. ჩემს გაოცებას ის იწვევს, რუსეთის დუმის გასვლითი სხდომები რომ არ ტარდება აქ. საქართველო დღეს არის მოსკოვის გარეუბანი.

***– ეს გადაჭარბებული შეფასება ხომ არ არის? მაინც უხერხულია მოსკოვის გარეუბნად ყოფნა.***

– უხერხული კი არა, ტრაგედიაა, მაგრამ ეს არის რეალობა. რუსმა დეპუტატებმა საქართველოში ვიზიტებს იმიტომ მოუხშირეს, რომ საარჩევნოდ რაღაცების დალაგება უნდათ. საქართველოს მიმართ მთელ მსოფლიოში დიდი ინტერესია. თავისი ინტერესები აქვს მოსკოვსაც. სწორედ ამ ინტერესებს უკავშირდებოდა ის ვაჭრობა, რომელიც საპარლამენტო არჩევნების ღამეს შედგა.

***– რა ვაჭრობაზე საუბრობთ? შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ?***

– რა ვაჭრობა გაიმართა და იმაზე იმსჯელეს, თუ ვინ მოხვდებოდა პარლამენტში. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყდა, რომ პარლამენტში პატრიოტთა ალიანსი მოხვდებოდა. მათ ერთი მისია აქვთ მხოლოდ – რუსებთან უნდა ილაპარაკონ. რუს დეპუტატებს ისინი მოიწვევენ. სინამდვილეში ეს ხელისუფლების მოწვევა იქნება, მაგრამ ამას საკუთარ თავზე პატრიოტთა ალიანსი აიღებს.

მოწვევები და მიწვევები მომავალში კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს. ერთი რამე დაიმახსოვრეთ, რომ ვინც არ უნდა ჩამოიყვანონ, რუსეთს აღარაფერი გამოუვა.

რუსეთისკენ არავითარ შემთხვევაში არ მივბრუნდებით, გინდა გრიგორი ლეპსმა იმღეროს და გინდა კორკოტამ შეასრულოს თავისი უკვდავი „ჩუნგა-ჩანგა“. რუსეთუმეების დრო დამთავრდა.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– საქართველოს მიმართ აშშ-ის დამოკიდებულება.

***– აშშ-ის დამოკიდებულებაში რას გულისხმობთ?***

– წინა კვირას საქართველოს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ესტუმრა, რომელიც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსაც შეხვდა. პენსმა ამ შეხვედრაზე არ დაუძახა პარლამენტის ვიცესპიკერ ირმა ინაშვილსა და ყველას ჩამომავალ თარხან-მოურავს.

ეს, ჩემი აზრით, ძალიან სერიოზული მესიჯია ყველასთვის. ახლა გინდა შემოიტანონ და გინდა გაიტანონ დუმის დეპუტატები.

მესიჯები მკვეთრადაა გაგზავნილი ყველასთვის. უბრალოდ, ცოტა ხნით ვერ ავლაგმავთ დუმის დეპუტატების თარეშს.

***– რატომ ვერ ავლაგმავთ?***

– იმიტომ, რომ საქართველოს ჰყავს რუსული მთავრობა და, შესაბამისად, საქართველოს საზღვარს რუსული ეფესბე აკონტროლებს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჯერჯერობით მოსკოვის გარეუბნად ვითვლებით.

რუსეთს დღეს საქართველოში ყველაფრის გაკეთება შეუძლია. სურვილი თუ ექნებათ, შეუძლიათ, მავთულხლართები ავლაბარში გაავლონ და ელიადან ჩემთან ყავის დასალევად რომ მოვიდეს ჩემი დაქალი ნინო, შეიძლება დაიჭირონ.

***– ისე, ავლაბარში მავთულხლართები თუ გაავლეს, მეეჭვება, თქვენ მოსვენება მისცეთ.***

– მაგის გარანტიას გაძლევთ, რომ სიცოცხლეს გავუმწარებ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. რუსებს ჯერ ყველაფერი გასდით.

თავიდან ძალიან მიკვირდა, როგორ ეგუებიან ადამიანები ოკუპაციას. მერე გავაცნობიერე, რომ ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. ასე რომ არ ყოფილიყო, შევარდნაძეს 12 წელი ავიტანდით? წესით, არ უნდა აგვეტანა.

ადამიანები ყველაფერს ეჩვევიან, მაგრამ ქართველებს გვაქვს უნიკალური თვისება, უმსგავსობას ბოლომდე ვერ ვეგუებით. რამდენიმე წელი ვითმენთ რაღაცას და მერე ვიფეთქებთ ხოლმე. ამის გამოძახილი იყო ვარდების რევოლუცია.

ბევრი უარყოფითი თვისება გვაქვს, მაგრამ ქართველები გენეტიკურად მონები არა ვართ და ესეც მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ არსებული რეალობა აუცილებლად შეიცვლება. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ იმათი შთამომავლები ვართ, ვინც სტალინმა არ დახვრიტა. ამ ფონზე ეს ქვეყანა კიდევ კარგად არის.

***– ამით რის თქმა გინდათ, რომ უვარგისები ვართ?***

– უვარგისები ვართ იმ კუთხით, რომ ამდენ რამეს ვითმენთ. ჩვენი გენოფონდი, ფაქტობრივად, განადგურებულია. უფრო ღრმად არ წავალ ისტორიაში და ბოლო 25 წელიწადზე მოგახსენებთ. ჯერ ჯაბა იოსელიანმა ომებითა და ნარკოტიკებით გაწყვიტა მთელი გენოფონდი, ახლაც იგივე ხდება.

***– რას ნიშნავს, იგივე ხდება?***

– ის ხდება, რომ ამ დღეებში ანაკლიაში ვიყავი და საშინელება ვნახე – ნარკოტიკებით გაბრუებული გოგო-ბიჭები აქეთ-იქით ყრიან. ნარკოტიკს სადაც გინდა, იქ იყიდი. ამ ფონზე ცხენზე ამხედრებული გოგა ხაინდრავა დარბის და რაღაც ფილმს იღებს.

ვიდრე ხაინდრავა აქეთ-იქით დარბის, რომა შამათავა და აგვისტოს ომის გმირები ციხეებში სხედან. ზოგიერთი დახოცეს. საქართველოდან გასვლა ვინც მოასწრო, მათი მონაცემები რუსეთს გადასცეს.

საერთოდ ველარ ვიგებ, სად ვართ და სად ვცხოვრობთ. ძალიან ღრმა ჭაობში ვართ ჩაფლულები, მაგრამ სადაცაა, აფეთქდება ჩვენი გენეტიკური კოდი. ახლა დუღილის პროცესია და მალე ყველა ვნახავთ, რაც მოხდება.

საქართველოს ისტორიას, როგორც წესი, გმირები და მოღალატეები ქმნიან ერის ინტელექტუალურ ნაწილთან ერთად. მოღალატეებიც და გმირებიც ცოტანი არიან და ამიტომ ჩანან ისინი ზედაპირზე. ახლა კიდევ ერთხელ მოხდა ბუნებრივი ლუსტრაცია. ქვეყანა კი არა, მთელი მსოფლიო დაიყო ნაცებად და ქოცებად.

***– რას ნიშნავს, მსოფლიო ქოცებად და ნაცებად დაიყო?***

– იმას, რომ დღეს მსოფლიოში ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის მიმდინარეობს. რაღაცებს ნუ დამაკონკრეტებინებთ, მაგრამ ბევრი რამე იცვლება.

***– მაგალითად, რა იცვლება?***

– არის ხალხი, რომელიც რუსეთს მხოლოდ იმიტომ ეხუტებოდა, რომ ერთი ადგილის გაციების ეშინოდა. ახლა ეს ხალხიც მზად არის ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მოკლედ რომ გითხრათ, მსოფლიოში ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს და ჩვენთანაც დაუბერავს უკეთესობის სიო. დამიჯერეთ, ფსოუს წყალი გველოდება.

***– ღმერთმა გისმინოთ, მაგრამ მეეჭვება, ფსოუს წყლამდე იოლად მივაღწიოთ.***

– იოლად ვერ მივაღწევთ, მაგრამ სოხუმამდე სავალი გზა ძალიან მოკლდება. ყველაფერი მაგრად იქნება. რამდენიმე დღის წინ პირადად ვიყავი ე.წ. საზღვართან და ვნახე იქაურების განწყობა, კიდევ სხვა რაღაცებიც ვიცი და ამიტომ ვარ ასეთ ოპტიმისტურ განწყობაზე.

გუნება კიდევ იმან გამიუმჯობესა, რომ გზად სოფელ კოკში შევიარე, დავით ნარმანიას ახლობლები მოვინახულე.

***– რა გითხრეს ასეთი ნარმანიას ახლობლებმა?***

– არაფერი. ძირითადად მე ვლაპარაკობდი კოკში. დავარიგე გაზეთები, სადაც პოლიტპატიმრებზეა საუბარი. ხალხი გაგიჟებულია, სიმართლეს რომ იგებს. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ყველაფერი ძალიან მაგრად იქნება.

# „ავღანეთში დაღუპულ სამხედროზე თავდასხვის სამინისტრომ განმარტებები უნდა გააკეთოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამის მეტი არაფერია ცნობილი, თავდასხმა გვერდიდან იყო, ტერორისტი მოქმედებდა, როგორც ერთი პერსონა. თუ რა ხდებოდა, თავდაცვის სამინისტრო ამ ინფორმაციას არ იძლევა. გამომდინარე იქიდან, რომ თვითმკვლელმა პერსონამ კოლონასთან მიახლოება შეძლო საპატრულო გადაადგილების დროს, ეს იმას ცხადყოფს, რომ მას არ მისცეს გაფრთხილება, არ მოახდინეს გამაფრთხილებელი გასროლა, ან თუ გააფრთხილეს და ის მაინც არღვევდა უსაფრთხოების ნორმებს, არ მოახდინეს მისი ლიკვიდაცია. ამაში არსებობს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ალბათობა. თავდაცვის სამინისტრომ ბოლომდე უნდა განმარტოს, როგორ მოხდა თავდასხმა. სხვა შემთხვევები რაც იყო, ნათლად გამოჩნდა, რა მოხდა, მაგალითად, ბაზაზე რომ შევარდა ტროტილიანი მანქანა და აფეთქდა, თავდაცვის სამინისტროს შეცდომა იყო, კერძოდ, დაგეგმარების ღონისძიების, რომ არ მოახდინა ბაზაზე უსაფრთხოების თხრილების გათხრა. ამის შემდეგ ამათი არაპროფესიონალიზმის ნამდვილად მჯერა. ამიტომ მებადება კითხვები.

***– თავდაცვის სამინისტრო რამდენად ერევა, ამ შემთხვევაში აქედან იქ რამდენად გეგმავს რაიმე ღონისძიებას? ავღანეთში ჩვენს ჯარისკაცებს ხომ სხვა ხელმძღვანელი ჰყავთ?***

– ჩვენი ჯარისკაცები იქ რომელიღაც სარდლობის დაქვემდებარებაში არიან, უშუალოდ ბატალიონში 870 კაცია. სანამ ბატალიონი იქ ჩავა, ხდება სამეთაურო დაზვერვა. სამეთაურო დაზვერვის დროს ხდება იმ ტერიტორიის შესწავლა, სადაც გადაადგილება, დისლოცირება ან სამეთაურო ღონისძიებების გატარება უწევთ. კონკრეტული პირი, რომელიც ვალდებულია, პირად შემადგენლობას გაჰყვეს მისიაში, უზრუნველყოფს ადგილზე უსაფრთხოების ნორმების დაცვას და გენერალურ შტაბს ახსენებს. ეს, როგორც ასეთი, სუბორდინაციული რუტინაა.

გარდა ამისა, მისიაში ჯარისკაცებს მიჰყვება სამხედრო დაზვერვის კონტინგენტი, რომელიც სწავლობს უსაფრთხოების ნორმებს, აკვირდება ვითარებას და ჩვეულებრივი სამხედრო კავშირით თავდაცვის სამინისტროს ვითარების თაობაზე მოახსენებს.

***– თქვენ ბრძანეთ, რომ პატრულირების დროს ხდება ადგილის წინასწარი რადიოდაზვერვა და წინასწარ იციან, სად შეიძლება იყოს დამონტაჟებული ბომბი.***

– მანქანებს აქვთ წინ დამონტაჟებული რადიოდაზვერვის ელემენტი, რომელიც აკეთებს დამონტაჟებული ნაღმის ამოცნობას.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში რადიოდაზვერვა არ მოხდა?***

– არა. თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ბომბი ამოქმედდა თვითმკვლელი ტერორისტის მიერ ანუ ბომბი ადამიანმა მიიტანა კოლონებამდე. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ პერსონა მოძრაობდა კოლონის მიმართულებით, ბომბი მას შეფუთული ექნებოდა. ამ შემთხვევაში არსებობს უსაფრთხოების ნორმა, რომ არ უნდა მიუშვა პირი კოლონასთან. ამაზე არსებობს ჯერ სიტყვიერი გაფრთხილება, შემდეგ გამაფრთხილებელი გასროლა ერთხელ ჰაერში და, თუ ამას არ დაემორჩილება, უნდა მოახდინო მისი ლიკვიდაცია, რომ უსაფრთხოების ნორმა იყოს დაცული. როგორც ჩანს, ეს არ გააკეთეს.

# ქუთაისში ავარიას ქალი ემსხვერპლა

ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც ქუთაისის „სპეციალური სერვისების“ თანამშრომელი გარდაიცვალა. 60 წლამდე ასაკის ქალს მსუბუქი ავტომობილი იმ დროს დაეჯახა, როდესაც ის ქუჩას გვიდა.




– სწრაფად მოდიოდა მანქანა და ქალს, რომელიც ქუჩას ასუფთავებდა, დაეჯახა და ადგილზე გარდაიცვალა, – აცხადებენ თვითმხილველები.

შემთხვევა ნიკეას ქუჩაზე, გამყოფი ზოლის პირზე მოხდა. გარდაცვლილი სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებული. ექსპერტიზა უტარდება ავტომობილის მძღოლსაც.

როგორც „სპეციალური სერვისების“ დირექტორის მოადგილე არჩილ ჭავჭანიძე აცხადებს, გარდაცვლილი ქალბატონი სოციალურად დაუცველი და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო.

– ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. როგორც ვიცი, ქალბატონის სოციალური მდგომარეობა მძიმე იყო და ის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო, – ამბობს „სპეციალური სერვისების“ დირექტორის მოადგილე არჩილ ჭავჭანიძე.

# ბახმაროში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა

უბედური შემთხვევა მოხდა კურორტ ბახმაროში.

„ნიუპოსტის“ რეგიონული კორესპონდენტის ცნობით, სანატორიუმთან მსუბუქი ავტომანქანა ახალგაზრდა მამაკაცს დაეჯახა.

როგორც კურორტის დაცვის პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გვითხრა, გარდაცვლილი წარმოშობით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბასილეთიდან არის.

სავარაუდოდ, ჩოხატაურელია ავტომანქანის მძღოლიც.

# რატომ არ გვიღებენ ნატოში

გულიკო ბალაძე





## მამუკა გვაძაბია: „საქართველოდან ალიანსზე სერიოზული ინფორმაციები ჟონავს“

**დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ამერიკის სახელისუფლებო სტრუქტურებში ჩვენთვის სასარგებლო კონიუნქტურაა შექმნილი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ.**

– ამერიკა-რუსეთის სტრატეგიული და სამხედრო დაპირისპირება აუცილებლად რუსეთის მარცხით დამთავრდება. სამხედრო შეტაკება არ იქნება. სამხედრო დაპირისპირება უფრო დიდი ზიანის მომტანი იქნება. ამიტომ მიდის ამერიკა ეკონომიკური სანქციების გზით, – აცხადებს მამუკა გვაძაბია, რომელიც პუტინის სოხუმში დაგეგმილ ვიზიტს უსუსურს უწოდებს.

***– ბატონო მამუკა, პუტინი 2008 წლის ომიდან 9 წლის შემდეგ ოკუპირებულ აფხაზეთში ჩადის. ეს მისი რეაქციაა საქართველოში მაღალი რანგის პირების სტუმრობისა და ნატოს ქვეყნების მნიშვნელოვანი სამხედრო წვრთნების გამო?***

– 9 წელი არაფერ შუაშია. პუტინის ჩასვლა ოკუპირებულ აფხაზეთში საპასუხო რეაქციაა ამერიკის ვიცეპერზიდენტ პენსის ვიზიტისა და მიმდინარე წვრთნების გამო. ჟარგონით რომ ვთქვათ, ამერიკის ვიცეპრეზიდენტს რუსეთის პრეზიდენტმა „გადაუჯოკრა“. ერთი იგავი გამახსენდა: პატარა ბავშვი უნდა წაიყვანონ პარიკმახერთან თმების შესაკრეჭად, თავში ლურსმანი ჩაირჭო უცოდინრობის გამო, ეგონა, ამით პარიკმახერის საკრეჭ მანქანას გააფუჭებდა. დაახლოებით ასეთია რუსების საქციელი ამ მოვლენების მიმართ. ამხელა ქვეყნის პრეზიდენტის საპასუხო ჟესტია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩასვლა ადგილობრივი ისტებლიშმენტის მხარდასაჭერად.

***– თქვენ როგორ აფასებთ პენსის ვიზიტს?***

– ამერიკის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტი უმნიშვნელოვანესია და „ოცნების“ ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამონათებაა მთელი მისი მმართველობის პერიოდში ქვეყნის ორიენტაციის თვალსაზრისით.

***– რატომ მხოლოდ ეს? ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება და სხვა აქტივობებიც ხომ არის?***

– მე უფრო მეტ მნიშვნელობას ამერიკის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტს ვანიჭებ გეოპოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით. თუმცა, ეს ვიზიტი, სამხედრო სწავლებები და დამოკიდებულება გამომდინარეობს საქართველო-ამერიკის 2009 წელს გაფორმებული ქარტიიდან კულტურული და სამხედრო ურთიერთობის შესახებ.

***– სამხედრო ურთიერთობები ამ კუთხით დახმარებას ითვალისწინებს?***

– ქარტია ითვალისწინებს სამხედრო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობას. ამ თანამშრომლობის, სწავლებების ფონზე პუტინის ვიზიტი აფხაზეთში ძალიან უსუსურად გამოიყურება.

***– თავისი მართული საოკუპაციო რეჟიმის გასამხნევებლად ჩადის სოხუმში თუ იმის სამტკიცებლად, რომ თუ თქვენ ჩახვედით თბილისში, მე ჩავედი სოხუმშიო?***

– დაახლოებით ასეა. როდესაც ამხელა სახელმწიფოს მეორე პირი ჩამოდის იმ ქვეყანაში, რომლის ორგანული ნაწილი რამდენიმე წლის წინ აფხაზეთი იყო. როცა ასეთი გეოპოლიტიკური ქიშპობაა ორ მოთამაშეს შორის (ერთი უფრო ძლიერი, მეორე უფრო სუსტი, მაგრამ იმპერიული ზრახვებით შეპყრობილი, რომლის გავლენის ქვეშაც არის აფხაზეთი), სიკვდილ-სიცოცხლის ფასია ეს ვიზიტი და განცხადებები, რომ საქართველო აუცილებლად აღიდგენს თავის ტერიტორიულ მთლიანობას გარკვეული დროის შემდეგ.

ამხელა სახელმწიფოს ლიდერი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის. მინდა მკაფიოდ ვთქვა, რომ ამერიკა-რუსეთის სტრატეგიული და სამხედრო დაპირისპირება აუცილებლად რუსეთის მარცხით დამთავრდება. სამხედრო შეტაკება არ იქნება, მაგრამ სამხედრო დაპირისპირება უფრო დიდი ზიანის მომტანი იქნება. ამიტომ მიდის ამერიკა ეკონომიკური სანქციების გზით.

***– აფხაზეთში ფეთქებადსაშიში ვითარებაა – შიდაპოლიტიკური დაძაბულობა, აფხაზებისა და სომხების ურთიერთდაპირისპირება, აფხაზების ქართველებისადმი დამოკიდებულება. აფხაზები გრძნობენ ეთნორადიკალიზმის საფრთხეს. ამ ფონზე გუდაუთაში დიდი სამხედრო საწყობი ფეთქდება. ეს უბრალო შემთხვევითობა არ უნდა იყოს.***

– არ ვიცი, გუდაუთაში რუსული სამხედრო საწყობის აფეთქება უბრალო შემთხვევითობა იყო თუ არა. თუმცა, სანამ ანქვაბი გადადგებოდა, ვთქვი, რომ, ფაქტობრივად, ანქვაბს პუტინმა ყური აუწია. ამას მოჰყვა ხაჯიმბასთვის ძალაუფლების გადაცემა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ აფხაზეთში მართვადი ქაოსია.

***– ამ სიტუაციას რუსეთი ქმნის თუ ოკუპირებულ ტერიტორიებს ახასიათებთ ქაოსური მდგომარეობა?***

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქაოსურ სიტუაციას რუსეთი ქმნის. ამაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს. სანამ საქართველოს ხელისუფლება (არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ხელისუფლებაში), ცენტრი, თბილისი ადეკვატურ ნაბიჯს არ გადადგამს და არ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ბოლო 25-30 წლის მოვლენებზე, თბილისისკენ გამომხედველ პიროვნებებს არასოდეს ექნებათ საშუალება, გააჟღერონ ის, რასაც ფიქრობენ. არ ხდება იმის აღიარება, თუ რა მოხდა ბოლო 25-30 წლის განმავლობაში აფხაზეთში. ამიტომ უახლოეს მომავალში ამის იმედი არ უნდა გვქონდეს.

***– როგორც დავინახეთ, ერთი ხელის მოსმით განადგურდა სამხედრო საწყობი. ასე „ერთი ხელის მოსმით“ შეიძლება განადგურდეს რუსული სამხედრო არმადა?***

– გასაკვირი არაფერია. როგორც ბერლინის კედელი დაინგრა, ისე დაინგრევა ყველაფერი ხუთ წუთში. ეს დღევანდელი და ხვალინდელი ამბავი არ არის, მაგრამ ყოველდღე ვიღებ ინფორმაციას, ყოველდღე მაქვს კავშირები ოპოზიციურ ჯგუფებთან რუსეთში და საქმე იქითკენ მიდის, რომ რუსეთმა გარკვეული დროის შემდეგ უკან უნდა დაიხიოს, რადგან ქვეყანა კორუფციამ წალეკა, ცხოვრების დონე ყოველდღიურად უარესდება, მილიარდერებს ფული უფრო ემატებათ, ღარიბები უფრო ღატაკდებიან. უკმაყოფილება მასებში ყოველდღიურად იზრდება. გამოკითხვის შედეგებს რომ დებენ, ისიც არ არის აბსოლუტურად მართალი. ხელისუფლების რეიტინგიც ეცემა. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის იმპერიის სულისჩამდგმელი იდეოლოგია იყო მუდმივი გაფართოება, რის შედეგიც არის აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაცია.

***– ისე, პუტინისთვის კარგი სიურპრიზია აფხაზეთში მომხდარი დიდი აფეთქება.***

– პატარა აფეთქებებს გამოვრიცხავ. ყველაზე მეტად მენიშნა ვაზიანში მიმდინარე წვრთნებში სომხეთის მონაწილეობა. სომხეთის, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის წევრია.

***– ჩვენი უსაფრთხოებისთვის კარგი იქნებოდა, წვრთნების ჩატარების პარალელურად, ჩვენ რომ ნატოს წევრი ვიყოთ.***

– ადრეც მითქვამს თქვენთან ინტერვიუში, თუ რატომ არ გვიღებენ ნატოში – ნაციონალების დროს ძალიან სერიოზული ინფორმაციები ჟონავდა ნატო-საქართველოს ურთიერთობის შესახებ რუსეთის მიმართულებით. ამას დღესაც არ გამოვრიცხავ.

***– არა მხოლოდ ხელისუფლებაში გამოითქვა აზრი, რომ რუსეთს ექნება საპასუხო რეაქცია იმაზე, რაც ამ დღეებში ხდება (ვიზიტზე, წვრთნებზე), ზოგმა ისიც თქვა, რომ შესამუშავებელია სხვა პოლიტიკა. რა საპასუხო რეაქცია შეიძლება მოჰყვეს რუსეთისაგან და რა პოლიტიკაა შესამუშავებელი?***

– რაც ხდება ამერიკის ხელისუფლების სტრუქტურებში – კონგრესში, სენატში – პოლიტიკური კონიუნქტურა ჩვენთვის სასარგებლოდაა. ამიტომ ჩვენ ამის შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ, მხარი უნდა ავუბათ. ამის მაჩვენებელია სწორედ ის სამხედრო სწავლებები, რომლებიც ტარდება. გაფორმებულია თანამშრომლობის ქარტია. ჩამოვიდა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი, რომელიც ძალიან გავლენიანი პირია ტრამპის ადმინისტრაციაში. ის, რაც ხდება ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურებში, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. საქართველოს ხელისუფლების ადგილზე რომ ვიყო, ამერიკის ხელისუფლებას მივმართავდი, რომ საქართველოში განალაგოს სტრატეგიული და ტაქტიკური, თავდაცვითი და შეტევითი იარაღი.

# მიანიჭებს თუ არა მარგველაშვილი სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობას

## უკრაინელი მესაზღვრეები ექსპრეზიდენტს მანქანის საბარგულში ეძებდნენ





შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში დაბანაკდა და უკრაინაში დაბრუნებისთვის ემზადება. ამის პარალელურად, საქართველოში ვრცელდება ინფორმაცია, რომ გიორგი მარგველაშვილი მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას აპირებს.

სააკაშვილის პოლონურმა ვოიაჟმა თბილისზე მეტად ოფიციალური კიევი შეაშფოთა. ჩვენმა მთავარმა პროკურატურამ ვარშავისგან იმის გარკვევა მოითხოვა, თუ რა საბუთით მოგზაურობს პასპორტწაგვრილი ექსპრეზიდენტი. უკრაინის ხელისუფლებამ კი გაცილებით რადიკალური ზომები მიიღო და პოლონეთთან საზღვარზე კონტროლი გაამკაცრა.

პოლონეთთან სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების შესახებ ინფორმაცია უკრაინელმა დეპუტატმა იური დერევიანიკმა გაავრცელა.

მისი ინფორმაციით, პოროშენკოს ადმინისტრაციის მითითებით, უკრაინა-პოლონეთის საზღვარი საგანგებო კონტროლზეა აყვანილი. მესაზღვრეებისა და სპეციალური სამსახურის მიერ ტარდება საგანგებო ღონისძიებები საზღვრის გადაკეტვის მიზნით.

– საზღვარი დაბლოკილია. ეს ხდება კრაკოვეცის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, – წერს დეპუტატი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

გამკაცრებული კონტროლი უკრაინელმა კანონმდებელმა საკუთარ ზურგზე იწვნია. როგორც დერევიანიკი იუწყება, მისი ავტომობილი უკრაინელმა მესაზღვრეებმა საგანგებოდ შეამოწმეს.

– საბარგულში სააკაშვილს ეძებდნენ, – იუწყება დერევიანიკი.

რადას დეპუტატის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარი თავისუფალი იყო, მესაზღვრეები შემოწმების გარეშე არცერთ მანქანას არ ატარებდნენ.

– უფრო მეტიც, სპეციალური დანიშნულების მანქანები სააკაშვილის ძებნაში ახორციელებდნენ პატრულირებას და კონტროლს საბაჟოს მიმდებარე მინდვრებსა და ტყეებში, – აღნიშნავს დეპუტატი.

ამით დერევიანიკი უკიდურესად შეშფოთებულია და თავის მთავრობას კანონის დარღვევაში ადანაშაულებს. ის უკრაინის პრეზიდენტს ამ კომედიის შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

– ეს არის არა მხოლოდ უკრაინის კანონმდებლობის, არამედ საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევა. მივმართავ პოროშენკოს, შეწყვიტოს ეს კომედია და უკრაინის მოქალაქეების შეურაცხყოფა. მიხეილ სააკაშვილი საჯაროდ განაცხადებს უკრაინაში ჩამოსვლის თარიღსა და საათს. მას ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებია, – აცხადებს დერევიანიკი.

სანამ უკრაინელი მესაზღვრეები სააკაშვილს მანქანის საბარგულებში ეძებენ, ლიტვა ოფიციალურ კიევს გონიერებისკენ მოუწოდებს, კერძოდ, ურჩევს, რომ უზრუნველყონ ექსპრეზიდენტისთვის უკრაინის მოქალაქეობის სასამართლოში დაცვის უფლება.

– მიხეილ სააკაშვილს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი უფლებები გამჭვირვალე სასამართლოს გზით დაიცვას. ლიტვა მუდმივად დაუჭერს მხარს უკრაინასა და მის ლიდერებს რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მხარს დაუჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, მაგრამ, ამავდროულად, ხაზს ვუსვამთ დემოკრატიის მნიშვნელობასა და ოპოზიციის შესაძლებლობებს, – აცხადებს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიაჩუსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზეც საუბრობენ.

ეს ხმები კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც მარგველაშვილმა რუსთავი 2-თან ინტერვიუში აღნიშნა, რომ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ხელახლა მინიჭება მისი მხრიდან დამოკიდებულია იმაზე, მიმართავს თუ არა ქვეყნის მესამე პრეზიდენტი აღნიშნული მოთხოვნით.

ამ განცხადებიდან მოკლე ხანში ის ტვ იმედთან საუბარში აცხადებს, რომ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭება ხალხს არ აინტერესებს.

პრეზიდენტის თქმით, ეს მხოლოდ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ინტერესის საგანია. პრეზიდენტს სააკაშვილის საკითხზე 14 წლის განმავლობაში საუბარი ნორმალურად არ მიაჩნია.

სააკაშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით საუბარი მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას უნდათ. ხალხს ეს არ აინტერესებს. მანამდე 9 წელი და ახლა კიდევ 5 წელი მალაპარაკებენ სააკაშვილზე. ნორმალურია ეს? სააკაშვილი აკეთებდა ამას, როცა შევარდნაძეზე საუბრობდა გამუდმებით და უშედეგოდ, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

# პუტინი აფხაზეთში ვითარების გართულების ფონზე ჩადის

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი ოკუპირებულ აფხაზეთში 8 აგვისტოს უფრო გართულებულ სიტუაციაში ჩაივლის. ახალი რეალობაა ახლო აღმოსავლეთში. პუტინის ამ ნაბიჯს ამერიკის მიმართ მორიგ გამოწვევად თვლიან მას შემდეგ, რაც საქართველოში იმყოფებოდა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი და დამტკიცდა ახალი სანქციები რუსეთის მიმართ, საქართველოში კი გრძელდება ნატოს მრავალეროვნული წვრთნა.

ახალი შეზღუდვები ვაშინგტონის სანქციების შემდეგ რუსეთს ევროკავშირის საბჭომაც დაუწესა. აშშ-მ სანქციების კანონის საბოლოო ვარიანტში შეარბილა სანქციები, რომლებიც ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს ეკონომიკასა და მსხვილ საერთაშორისო კომპანიებს აზარალებს.

მიუხედავად ამისა, ანტირუსული სანქციების ამოქმედებას შიშით ელიან საერთაშორისო კომპანიები, რომლებსაც თეთრი სახლიდან ინდივიდუალური შეღავათების იმედი აქვთ.

ამერიკულ სანქციებს რუსეთმა აშშ-ის დიპკორპუსისა და ინფრასტრუქტურის შეკვეცით უპასუხა. კრემლმა განაცხადა, რომ ევროკავშირის პოლიტიზებულ სანქციებსაც პასუხს გასცემს.

ანალიტიკოსების დასკვნით, სანქციების დამტკიცების შემდეგ შეიცვალა სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში. ეს ეხება, პირველ რიგში, რუსეთისა და ირანის ურთიერთობას. ორივე ქვეყანა ამერიკამ ჩრდილოეთ კორეასთან ერთად შეიყვანა სანქციების ერთიან პაკეტში.




ირანში მყოფი რუსეთის ვიცეპრემიერი როგოზინი ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალში მონაწილეობით არ შემოიფარგლება. ირანი და რუსეთი აფორმებენ კონტრაქტებს რუსეთიდან ტანკების, საბრძოლო თვითმფრინავებისა და საზენიტო-სარაკეტო სისტემების შესყიდვის თაობაზე.

ექსპერტების შეფასებით, ირანი უახლოვდება აშშ-სთან კონფლიქტის ცხელ ფაზას.

სირიის პრობლემებზე ასტანის შეთანხმების თანახმად, არსებობს რუსეთი-ირანი-თურქეთის ალიანსი.

იმისათვის, რომ აშშ-მ შეცვალოს სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში, მას მხოლოდ თურქული კარტის გათამაშება შეუძლია, ისიც იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის სირიაში ქურთების მხარდაჭერაზე.

თურქეთი წითელ ნაჭერს უფრიალებს ვაშინგტონს, როცა აცხადებს მზადყოფნას, შეიძინოს რუსეთიდან საზენიტო-სარაკეტო სისტემა.

პენტაგონი ამით შეშფოთებულია და აღიარებს ნატოს თავდაცვის სისტემებისა და რუსეთის სარაკეტო თავდაცვის კომპლექსის ერთმანეთთან შეუთავსებლობას. ამასთან, ამის გამო თურქეთის წინააღმდეგ განსაკუთრებულ აქტიურობას ვერ იჩენს, იმიტომ რომ ამგვარ სისტემებს რუსეთიდან საბერძნეთიც ყიდულობს.

თუ რეგიონში ფორსმაჟორული მოვლენები მოხდა, თურქეთი ვა-ბანკზე წავა და ნატოსა და დასავლეთს დაუპირისპირდება.

არ არის გამორიცხული, ამ ვითარებაში ოკუპირებულ აფხაზეთში პუტინმა ახალი სატრანსპორტო დერეფნების საკითხი კიდევ ერთხელ წამოჭრას. ოკუპირებული რეგიონების გავლით ტვირთბრუნვა ანუ „ფსოუსა“ და „ქვემო ზარამაგის“ საკონტროლო– გამშვები პუნქტების ამოქმედება და ტვირთების კონტროლი შვეიცარიული მხარის შუამავლობით, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია.

მოსალოდნელია, რომ აფხაზეთში ჩასულმა პუტინმა ახალი იდეები წამოაყენოს. დასავლური მედიის მტკიცებით, რუსეთის პრეზიდენტმა შიდა პოლიტიკა გარდაქმნა და იმიჯი შეიცვალა. მისმა ადმინისტრაციამ ამჯერად აღარ დააფინანსა ისეთი დრომოჭმული ორგანიზაციები, როგორებიცაა „რუხი მგლები“ ანუ ბაიკერების კლუბი, სხვადასხვა „პატრიოტული“ ჯგუფი. სამაგიეროდ, პუტინი გრანტებს აძლევს „ლევადა-ჯგუფსა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ცენტრს.

ექსპერტების აზრით, პუტინს რუსი ბაიკერებისა და მათი მსგავსი ხალხისაგან დისტანცირება უნდა.

## ანაკლიის პორტის მშენებლობის გამო მოქალაქეებს უძრავი ქონება იძულების წესით ჩამოერთმევათ

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით მიმდებარე ტერიტორიაზე 3 მოქალაქის უძრავი ქონება ექსპროპრიაციას (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) დაექვემდებარება.



საუბარია კაკო აბულაძის, ლუკა აბულაძისა და მამისა აბულაძის კუთვნილ დაახლოებით 4.882 კვადრატული მეტრის ფართზე.

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ჯავახაძის 19 ივლისის ბრძანებაშია აღნიშნული, მესაკუთრეებმა უძრავი ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე უარი განაცხადეს. რისი მიზეზიც ქონების გამოსასყიდ ღირებულებაზე შეუთანხმებლობა იყო.

ბრძანების მიხედვით, მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ გამოსყიდვაზე მათი უარის შემთხვევაში სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ მათი საკუთრების ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს მიმართავდა.

მესაკუთრეებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ექსპროპრიაციის შემთხვევაში საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ კონსტიტუციით გარანტირებულ წინასწარ, სრულ და სამართლიან ანაზღაურებას მიიღებდნენ.

საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 სექტემბერს გაფორმდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შესახებ საინვესტიციო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფოს ვალდებულება – ინვესტორს ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით გადასცეს 340 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

ნავსადგურის განსახლების სამოქმედო გეგმა კი მთავრობის 2017 წლის 13 თებერვლის განკარგულებით დამტკიცდა. გეგმის შესაბამისად, პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების შესყიდვას ,,ქონების ეროვნული სააგენტო“, ხოლო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის პროცედურებს სააგენტოს კონტრაქტორი შპს ,,დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“ ახორციელებს.

**ბიპიენი**

## „ევროპული საქართველო“ ხელისუფლებისგან ქმედით ნაბიჯებს ითხოვს

გასულ კვირას თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა ახალგორის ე.წ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გააკეთა განცხადება ქართული სკოლების „რესპუბლიკის“ საერთო განათლების სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, რაც სწავლების რუსულ მოდელსა და რუსულ ენაზე გადასვლას გულისხმობს.

ანატოლი ბიბილოვი ასევე უკმაყოფილოა, რომ ახალგორის სკოლებში სასწავლო პროცესი, მთლიანად ქართულად და ქართული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. მისი თქმით, სწავლება, იქაც, როგორც დანარჩენ სკოლებში, რუსულ ენაზე უნდა წარიმართოს, ქართული კი შესაძლებელია რიგით საგნად დარჩეს.



ამ საკითხზე ბრიფინგი გამართეს „ევროპულ საქართველოს“ ლიდერებმა სეგო რატიანმა და მარიამ რამინაშვილმა.

მათი თქმით ოკუპანტები აფხაზეთში განხორციელებულ სცენარს იმეორებენ – 2015 წლიდან ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გაუქმდა ქართული სკოლის სტატუსი და ქართული ენა 2-საათიან არასავალდებულო საგნად დარჩა რამდენიმე სკოლის დაწყებით საფეხურზე.

2013 წელს აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა რეჟიმმა ,,სასკოლო რეფორმა“ დაიწყო, რომლის ფარგლებშიც გალის ათი სოფელი და ამ სოფლების სკოლებიც ტყვარჩელის რაიონს მიაკუთვნა, რითაც ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და ქართული სკოლების რაოდენობა 31-დან 11-მდე შემცირდა, მოგვიანებით, 2015 წლიდან, აფხაზეთში აღარ ფუნქციონირებს არცერთი ქართული სკოლა.

„ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები ხელისუფლებისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვენ. მათი თქმით, საქართველოს მთავრობამ რეგიონში მცხოვრები ყველა ქართველი მოსწავლე ქართული სასკოლო სახელმძღვანელოებით უნდა მოამარაგოს და დაიწყოს მუშაობა იმაზე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ სკოლებს ქართული სკოლის სტატუსი აღუდგეთ.

– საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საერთაშორისო ინსტიტუტებში ამ საკითხის აქტუალიზაცია, როგორც ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებების შელახვის ფაქტზე და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები:

უპირველეს პრობლემად განიხილოს აღნიშნული ფაქტი და დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ოკუპირებული ტერიტორიების იმ ნაწილში, სადაც მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის თანამშრომლების დიდი ნაწილი ეთნიკურად ქართველია და მათთვის მშობლიური ენა ქართულია, ამასთანავე, ყველაფერთან ერთად, ისინი ვერ ფლობენ რუსულ ენას, რომელზეც მათ უნდა მოუწიოთ სწავლების წარმართვა.

2017-18 სასწავლო წლისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღდგეს ქართული სკოლის სტატუსი.

ასევე, რეგიონში მცხოვრები ყველა ქართველი მოსწავლისათვის დაუყოვნებლივ იქნეს მიწოდებული სასწავლო პროცესისათვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი, – აცხადებენ „ევროპულ საქართველოში“.

**ნიუპოსტი**

## გიორგი ახვლედიანი გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარედ აირჩიეს



გიორგი ახვლედიანი გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას უხელმძღვანელებს. დემოკრატიულმა მოძრაობამ 5 აგვისტოს დახურული შეხვედრა გამართა, სადაც ახვლედიანი თავმჯდომარედ აირჩიეს.

ახვლედიანი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნინო ბურჯანაძე პარტიას და პოლიტიკას ტოვებს.

ახვლედიანი ამბობს, რომ დემოკრატიული მოძრაობა დედაქალაქის მერობის კანდიდატს უახლოეს პერიოდში წარადგენს და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება. პარტია ასევე საარჩევნოდ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს.

**პირველი რადიო**

## სემეკს ტარიფების გადახედვის მოთხოვნით კიდევ ერთმა კომპანიამ მიმართა




საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ბუნებრივი აირის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების გადახედვის მოთხოვნით კიდევ ერთმა ლიცენზიატმა კომპანიამ, შპს „არზუ-გაზმა“ მიმართა.

მარეგულირებელმა კომისიამ „არზუ-გაზისთვის“ ნორმატიული დანაკარგის დადგენის მიზნით, 2017 წლის 17 ივლისის სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

კომისიის დადგენილების გამოცემის ვადად 2017 წლის 3 დეკემბერი, ხოლო აღნიშნული დადგენილების შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო თარიღად 2017 წლის 14 აგვისტო განისაზღვრა.

შპს „არზუ-გაზი“ გარდაბნის რაიონში ოპერირებს.

მიმდინარე წლის 20 ივლისიდან სემეკის გადაწყვეტილებით, ახალი ტარიფები ამოქმედდა „ყაზტრანსგაზის“, „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და „საქორგგაზის“ აბონენტებისთვის. ახალი ტარიფები ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**ბიპიენი**

## ივლისში თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთნაკადმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

წინა თვეში მგზავრთნაკადმა თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ამის შესახებ ინფორმაციას თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ავრცელებს.

მათივე ცნობით, თბილისის აეროპორტში – მგზავრთნაკადის 42%-იანი ზრდა (371.131 მგზავრი) ბათუმის აეროპორტში – მგზავრთნაკადის 65%-იანი ზრდა (100.613 მგზავრი) დაფიქსირდა.

ორივე აეროპორტში გაიზარდა ასევე ფრენების რაოდენობაც: კერძოდ, თბილისის აეროპორტში – 42%-ით; ხოლო ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში – 31%-ით.

**ბიპიენი**



# „ლარის სტაბილურობაში ეროვნული ბანკის წვლილი ძალიან მცირეა“ — რატომ არ მყარდება ეროვნული ვალუტა?

**ბოლო პერიოდში დოლარის პოზიციები მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ შესუსტდა და 6 ძირითად ვალუტასთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა.**

**ეს განსაკუთრებით ითქმის ევროსთან მიმართებით. 1 ევრო ამჟამად 1,1843 დოლარი ღირს, რაც 2015 წლის შემდეგ დოლარისთვის ყველაზე უარესი შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ლარის დოლართან მიმართებით გამყარების მთელი რიგი საერთაშორისო ფაქტორები, ცვლილება მინიმალურია. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ლარის საბაზრო კურსი დოლართან მიმართებით მხოლოდ 0.5%-ით გამყარდა და, ამჟამად, ერთი აშშ დოლარის ღირებულება 2.392 ლარია.**

**არსებობს თუ არა რეალურად ლარის მნიშვნელოვნად გამყარების წინაპირობები? რა ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებენ არსებულ კურსს და რა მიმართულებით შეიძლება ვივარაუდოთ ეროვნული ვალუტის ცვლილება? ამ და სხვა საკითხებზე AGORA-ს ეკონომიკის ექსპერტი გიორგი პაპავა ესაუბრა.**



***— ბატონო გიორგი, როგორც მოგეხსენებათ, დოლარის პოზიციები მსოფლიო სავალუტო ბაზარზე სუსტდება. ის მნიშვნელოვნად უფასურდება თითქმის ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით. ამ ფონზე კი ლარი ჯიუტად უჩვეულო სტაბილურობას ინარჩუნებს და დოლართან მიმართებით მისი გამყარების მაჩვენებელი უმნიშვნელოა. როგორ ახსნით ამ გარემოებას? არსებობს ლარის გამყარების მნიშვნელოვანი საერთაშორისო ეკონომიკური ფაქტორები?***

— რამდენიმე თვეა ეროვნული ბანკი დოლარს ყიდულობს. მისი ინტერვენციები ამ კუთხით კვლავ გრძელდება. ეს, რეალურად, იმას ნიშნავს, რომ ლარს გამყარების პოტენციალი აქვს, მაგრამ ეროვნული ბანკი ცდილობს კურსის სტაბილურობა შეინარჩუნოს და ლარს, დიდად, გამყარების საშუალებას არ აძლევს. საინტერესოა, რომ თუ 2016 წლის ანალოგიურ პერიოდს გადავხედავთ ამ კუთხით, აღმოჩნდება, რომ გამყარების ტენდენცია მაშინაც შეიმჩნეოდა და ეროვნულმა ვალუტამ მხოლოდ აგვისტოდან დაიწყო გაუფასურება. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ლარს გამყარების ძალზე მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს და ეროვნული ბანკი მას ამის საშუალებას არ აძლევს. ლარს მართლაც აქვს პოზიციების გაუმჯობესების მცირე შესაძლებლობა, რასაც ეროვნული ბანკი აკორექტირებს.

ეს, ერთი მხრივ, შეიძლება კარგიც იყოს, რადგან ბოლო თვეებია ეროვნული ვალუტა სტაბილურობას ინარჩუნებს 2.4 ნიშნულის ფარგლებში. თუმცა რამდენად გაგრძელდება ეს სტაბილურობა და მიიღებს გრძელვადიან სახეს, ამის თქმა ნამდვილად რთულია; ეს უკვე ეკონომიკურ ზრდაზე იქნება დამოკიდებული. პირველი ექვსი თვის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, შედეგები საკმაოდ კარგი გვაქვს.

***— თქვენ ახსენეთ ეროვნული ბანკის ინტერვენციები... რამდენად მისაღები და კარგია სავალუტო ბაზრის სტაბილურობისთვის მუდმივი ხელოვნური ჩარევები? ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ჯობია ბაზარი იყოს ბუნებრივად მერყევი...***

— მინდა არასწორი ინტერპრეტაციებისგან თავი დავიცვათ და მაქსიმალურად ადეკვატურად ავხსნა ერთი გარემოება: ეროვნული ბანკი ბაზარზე ძალიან დოლარს დიდი მოცულობით არ ყიდულობს, აქ არ არის საუბარი ასეულობით მილიონზე. შესაბამისად, იმაზე საუბარი, რომ ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებაში სერიოზულად ერევა და ლარზე მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს, ვფიქრობ, არასწორია. რომ არა ეროვნული ბანკის ჩარევა, ვფიქრობ 1 აშშ დოლარის ფასი 2.4 ლარის მაგიერ, მაქსიმუმ, შეიძლება ყოფილიყო 2.37.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კურსის სტაბილურობა, რაზეც ეროვნული ბანკი აკეთებს აქცენტს, ისევ და ისევ სავალუტო ბაზრით არის განპირობებული და ეროვნული ბანკის წვლილი იმაში, რომ კურსი სტაბილურია, არც ისე დიდია. კურსის სტაბილურობა ეკონომიკის შედარებით გაჯანსაღების და გარკვეული მაჩვენებლების გაუმჯობესების დამსახურებაა. პირადად მეც, წლის დასაწყისში არ წარმომედგინა, თუ კურსი ასეთ სტაბილურობას შეიძენდა. ამის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებით გახდა შესაძლებელი.

***— საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელსაც სასესხო ვალდებულებები დოლარში აქვს, სწორედ ზაფხულის პერიოდსა და ლარის გამყარებას ელოდებოდა, რათა დოლარი შეეძინა. როგორია თქვენი პროგნოზი? უნდა ველოდოთ ლარის გამყარებას თუ კურსი არსებულ ნიშნულთან სიახლოვეს შენარჩუნდება?***

— პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. მითი, მოლოდინი, რომ ტურისტების ჩამოსვლა ლარს გაამყარებს, არ არის სწორი. თუ ბაზარზე იმის წინასწარმეტყველებას ბევრი მოთამაშე აკეთებს, რომ ტურისტების ჩამოსვლით დოლარის ჭარბი რაოდენობა შეიქმნება, ეს მოლოდინი წინასწარ არის ასახული კურსზე. მაგალითად, შარშან ტურისტულ სეზონზე ლარის ყველაზე დიდ გაუფასურებას დაემთხვა. მსგავს პროგნოზებში ჩართვა არასწორია და მოსახლეობას არ ვურჩევ. გრძელვადიან პერიოდში ჩვენი ნომინალური გაცვლითი კურსი მცირედით, მაგრამ უნდა უფასურდებოდეს. მაგრამ რა მოხდება აგვისტოს ბოლოს, ან სექტემბრის დასაწყისში, ამის თქმა შეუძლებელია. ტენდენცია შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს.

# ზაქარია ქუცნაშვილი: „მთაში ხის მერქანს ეკონომიკური ეფექტის შექმნა შეუძლია“



— დღეს სამასალე მერქანი მხოლოდ ოჯახებს ათბობს და მისი ეკონომიკური ეფექტი ძალიან დაბალია, — ამის შესახებ ისაუბრა დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მთის კანონის ერთ-ერთმა ავტორმა ზაქარია ქუცნაშვილმა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“.

ქუცნაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთიანეთში თევზის, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების წარმოების სერიოზული პოტენციალი არსებობს.

— DCFTA ხელშეკრულების თანახმად, თავისუფალი ვაჭრობის უფლება ევროკავშირის 28-ვე ქვეყანასთან 1.000-ზე მეტ სახეობაზე მოვიპოვეთ, თუმცა ჯერჯერობით 3 პროდუქციით ვვაჭრობთ — ღვინო, თაფლი და თხილი. მთაში თევზის წარმოების ძალიან სერიოზული პოტენციალი გვაქვს იმიტომ, რომ საქართველოს მთიანეთი მდიდარია მდინარეებით, წყლებით, ტბებით. ასევე, მდიდარია სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვებით. ქვების ინდუსტრია სერიოზული პოტენციალია, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისი თქმით, მთაში სამასალე მერქანს ეკონომიკური ეფექტის შექმნა შეუძლია, თუ მას მხოლოდ გასათბობად არ გამოვიყენებთ: „მთა მდიდარია სამასალე მერქნით. თუ ჩვენ შევძლებთ იმას, რომ საშეშე მერქნიდან ქვეყანა სამასალე მერქნის წარმოებაზე გადავიყვანოთ, ანუ ხალხი სხვა ალტერნატიული წყაროებით გავათბოთ და ეს მერქანი გამოვიყენოთ მხოლოდ სამასალე დანიშნულებით, მაშინ მას ეკონომიკური ეფექტი ექნება. დღეს ის მხოლოდ ოჯახებს ათბობს და მისი ეკონომიკური ეფექტი ძალიან დაბალია“.

ამასთან, ქუცნაშვილის შეფასებით, იმისთვის, რომ მთაში ბიზნესი განვითარდეს, თავდაპირველად ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა საჭირო.

— აუცილებელი წინაპირობაა, რომ ბიზნესს ყველგან ინფრასტრუქტურა დავახვედროთ. თუ გზა, ხიდი, დენი ან გაზი არ იქნება, ვინ წამოვა მთაში ინვესტიციის ჩასადებად? მთის კანონმა ძალიან კარგი საგადასახადო შეღავათები შექმნა. ვფიქრობ, რომ უახლოესი 5-10 წელი მთიანეთის აღორძინების წელი უნდა იყოს. როცა კანონზე ვმუშაობდით, ბიზნესის დაწყების საშეღავათო პერიოდად ათი წელი შევარჩიეთ. საწარმოს ორი-სამი წელი შეიძლება დასჭირდეს, რომ ბაზარზე ვაჭრობა ისწავლოს, ადგილი მოიპოვოს და დანარჩენი შვიდი წელი სუფთა მოგების მისაღებად გამოიყენოს. გარდა ამისა, კანონში წერია, რომ ამა თუ იმ დასახლებამ მთის რეგიონის სტატუსი რომც დაკარგოს, საწარმო ათი წლის განმავლობაში საგადასახადო შეღავათებს მაინც ინარჩუნებს, — აღნიშნა ზაქარია ქუცნაშვილმა.

კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ 2016 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებს.

# კომპანია, რომელმაც ლატარიის ჩატარების ტენდერში გაიმარჯვა, სამეწარმეო რეესტრში არ იძებნება



საქართველოში ლატარიას ახალი კომპანია ჩაატარებს. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყებამ საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერი ჩაატარა, რომლის შედეგადაც გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯორჯიან ნეიშენელ ლოთთერი“. აღნიშნული კომპანია საქართველოს საჯარო რეესტრის სამეწარმეო რეესტრში არ იძებნება. შესაბამისად უცნობია ვის მფლობელობაშია ის, ან არის თუ არა ქართული კომპანია. ფინანსთა სამინისტროში კომპანიასთან დაკავშირებით დამატებით კომენტარს არ აკეთებენ და მხლოდ იმას ამბობენ, რომ ის საქართველოშია რეგისტრირებული.

აღნიშნული კომპანია იქნება ექსკლუზიური უფლების მფლობელი საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე და იგი საქართველოში ლატარიის ორგანიზებას უზრუნველყოფს 10 წლის განმავლობაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ლატარიის ორგანიზება-ჩატარების ექსკლუზიური უფლების გადაცემის შესახებ ტენდერი 2016 წლის 12 დეკემბერს გაიმართა.

# აჭარის ბრენდულ სასტუმროებში ადგილების 80–100% დაჯავშნილია



ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია შესული, აჭარის ბრენდულ სასტუმროებში კი ტურისტული ნაკადის აქტივობა ფიქსირდება. „კომერსანტი“ დაინტერესდა, თუ როგორი სიტუაციაა ზღვისპირა ქალაქებში მდებარე ბრენდულ სასტუმროებში. აღმოჩნდა, რომ მსგავს სასტუმროებში, წელს შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იმატა, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი სტუმრების რაოდენობა. სასტუმროებში აცხადებენ, რომ შარშანდელთან შედარებით ჯავშნების რაოდენობა 40%-ით არის გაზრდილი.

როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას ციხისძირში მდებარე სასტუმრო Castello Mare-ს გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი მარიამ კედელაძე აცხადებს, წელს შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სტუმრების რაოდენობამ დაახლოებით 40%-ით იმატა.

— ჩვენ სასტუმროში ამჟამად ნომრების 80%-ი უკვე დაჯავშნილია. წელს შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სტუმრების რაოდენობამ დაახლოებით 40%-ით იმატა. Castello Mare-ს ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრციდან და არაბული ქვეყნებიდან სტუმრობენ.

ჩვენ ბაზარზე ფასები მაღალია და ვფიქრობ, რომ წელს ქართველი და უკრაინელი სტუმრები ვიზალიბერალიზაციის გამო ევროპაში წავიდნენ დასასვენებლად. შარშან ამ კუთხით განსხვავებული სიტუაცია იყო.“ — განაცხადა მარიამ კედელაძემ.

სასტუმრო რედისონ ბლუ ბათუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის მენეჯერი სალომე წოწორია განმარტავს, რომ სტუმრების თვალსაზრისით წელს შარშანდელ პერიოდთან შედარებით მათ სასტუმროშიც მატებაა.

— წინა წელთან შედარებით წელს ჩვენთან მოსული სტუმრების რაოდენობამ იმატა. ამჟამად სასტუმრო სრულადაა დატვირთული. რაც შეეხება ტურისტულ მიმართულებას ჩვენ სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან გვყავს. მათ შორის: რუსეთიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან და ირანიდან. ამჟამად სასტუმროს თითქმის 100%-ი სრულად დაჯავშნილია. აგვისტოში სტუმრების მატებას კვლავ ველოდებით. — განაცხადა სალომე წოწორიამ.

ქობულეთში მდებარე სასტუმრო „ჯორჯია პალასის“ პიარმენეჯერი რუსუდან ცეცხლაძე განმარტავს, რომ „ტურისტების რაოდენობა ჩვენ სასტუმროში ყოველდღიურად მატულობს. ამჟამად სეზონი უკვე აქტიურ ფაზაშია და განსაკუთრებით უქმე დღეებში ჩვენთან ბევრი სტუმარი ჩამოდის. „ჯორჯია პალასში“ ძირითადად ქართველები ისვენებენ. რაც შეეხება უცხოელებს, სტუმრები გვყავს რუსეთიდან, სომხეთიდან და უკრაინიდან. შარშანდელთან შედარებით, წელს ჩვენს სასტუმროში სტუმრების მატება შეინიშნება.“

# ზღვისპირა ქალაქების საოჯახო სასტუმროებში დამსვენებლების სიმცირეა



ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია შესული, „კომერსანტი“ დაინტერესდა, თუ როგორი სიტუაციაა ზღვისპირა ქალაქებში მდებარე საოჯახო სასტუმროებში. აღმოჩნდა, რომ ბათუმსა და ქობულეთში წელს შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ტურისტების ნაკადმა იკლო. როგორც ჩვენთან საუბრისას საოჯახო სასტუმროების მეპატრონეები აცხადებენ, დამსვენებლების რაოდენობის შემცირება ძირითადად უამინდობით და ფასების სიძვირითაა გამოწვეული.

როგორც ქობულეთში მდებარე „საოჯახო სასტუმრო დავით აღმაშენებლის 816“-ის მფლობელი პაატა ბალაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, შარშანდელთან შედარებით მის სასტუმროში წელს ტურისტების რაოდენობამ 10%-ით იკლო.

— წელს ტურისტები კი გვყავს, თუმცა შარშან ამ პერიოდში უკეთესი მდგომარეობა გვქონდა. სტუმრები ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან სომხეთიდან და რუსეთიდან გვყავს. ტურისტების ნაკადმა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10%-ით იკლო და ამას უამინდობას ვუკავშირებ. — განაცხადა პაატა ბალაძემ.

წელს ტურისტების რაოდენობის შემცირებაზე საუბრობენ საოჯახო სასტუმრო „ქობულეთი 361“-შიც: „შარშანდელ პერიოდთან შედარებით წელს ტურისტების რაოდენობამ 15%-ით იკლო. ამ ყველაფერზე უამინდობაც მოქმედებს. ჩვენს სასტუმროს ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან სტუმრობენ.“

რაც შეეხება ბათუმის საოჯახო სასტუმროებს, როგორც მათი მფლობელები „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებენ, ტურისტების ნაკადის კლება წელს მათთანაც შეინიშნება.

— ჯერჯერობით ტურისტების საშუალო ნაკადი მყავს და ვერ ვიტყვი, რომ დიდი რაოდენობაა. შარშან ამ პერიოდში უკეთესი მდგომარეობა მქონდა. ტურისტების რაოდენობის კლება უამინდობითაა გამოწვეული. მათმა რაოდენობამ შარშანდელთან შედარებით 30%-ით იკლო. როგორც კი ამინდები გამოვა, ტურისტებიც გვეყოლება, — განაცხადა ბათუმში საოჯახო სასტუმრო „ვიტალის“ მფლობელმა ვიტალი ბერიძემ.

დამსვენებლების რაოდენობა საოჯახო სასტუმრო „დივინოში“ შარშანდელის ანალოგიურია.

— ამ ეტაპზე ტურისტების რაოდენობის თვალსაზრისით ნორმალური, დაახლოებით იგივე რაც შარშან იყო. თუმცა ახლა უკვე აგვისტო დაიწყო და სტატისტიკის გაკეთება თვის ბოლოსთვის უფრო უკეთ შეიძლება. აქ ზოგადად ყველაფერზე ფასების სიძვირეა და ამ ყველაფერს ხალხი ძალიან კარგად.“ — განაცხადა საოჯახო სასტუმრო „დივინოს“ მფლობელმა ომარ კორძაიამ.

# ვინ არის ავღანეთში დაჭრილი სამხედრო და როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა



არასამთავრობო ორგანიზაცია „ემიგრანტთა იმედის“ ხელმძღვანელი შოთო სიხარულიძე ავღანეთში თავდასხმის შედეგად დაშავებული ერთ-ერთი ქართველი სამხედროს გიგა ხახუტაშვილის ჯანმრთელობის შესახებ წერს.

როგორც ირკვევა, ხახუტაშვილის მშობელი ემიგრაციაში იმყოფება.

„მეგობრებო, ეს გიგა ხახუტაშვილია, ჩვენი ბარელი ემიგრანტის შვილი. ის ავღანეთში მსახურობს და იმ აფეთქებაში მოყვა, სადაც ჩვენი ვაჟკაცი დაიღუპა.

გიგა გერმანიაშია გადმოყვანილი. მდგომარეობა სტაბილურია, ფეხი შეუნარჩუნდა. ეს მისმა დედამ მომწერა. სიტყვა დაგახრჩობს ტკივილისგან... როგორი სათქმელია.. .უფალმა გაგაძლიეროს გიგა.... მის საუკეთესო დედას მხნეობა და უფლის მადლი... ნახევარი საათის გამო რომ ვერ ჩახვალ უსაბუთობის გამო.... რამდენს იტანს გული.... ვფიქრობ და გული მეკუმშება... თუმცა ემიგრანტი ხომ ყველაფერს იტანს.... ღმერთმა მისცეს მხნეობა,'– წერს სიხარულიძე. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ავღანეთში, თავდასხმის შედეგად დაშავებული ორი სამხედრო მოსამსახურის, კაპიტან მიხეილ გვირჯიშვილისა და უფროსი ლეიტენანტ გიგა ხახუტაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მათივე ინფორმაციით, მათ ბაგრამის საავიაციო ბაზის ჰოსპიტალში ოპერაცია დაუყონებლივ ჩაუტარდათ. 23-ე ბატალიონის ექიმის, კაპიტან ირაკლი ქორთუშვილის განცხადებით, დაშავებული სამხედროები ამჟამად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და დაგეგმილია მათი გერმანიის ქალაქ ლანდშტულის რეგიონულ სამედიცინო ცენტრში გადაყვანა.

კაპრალი გეგა ხარშილაძე კი ბაგრამის სამედიცინო დაწესებულებიდან შესაბამისი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ გუშინვე გაეწერა და დაკისრებული ამოცანის შესრულებას შეუდგა.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში მომხდარ თავდასხმას 25 წლის ქართველი სამხედრო შეეწირა.

# დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას აფრთხილებს




დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას ჰაერის მაღალი ტემპერატურის დროს რეკომენდაციებს სთავაზობს.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციით, ძლიერი სიცხის შედეგად თუ პირი თავს შეუძლოდ იგრძნობს და ექნება თავბრუსხვევა, სისუსტე, ფორიაქი, ძლიერი წყურვილი ან თავის ტკივილი, სასწრაფოდ უნდა მოთავსდეს გრილ ადგილას და გაიზომოს სხეულის ტემპერატურა, მიიღოს წყალი ან ხილის ნატურალური წვენი.

იმ შემთხვევაში კი, თუ აღენიშნება კუნთების მტკივნეული სპაზმი (განსაკუთრებით ფეხებში, ხელებში ან მუცელზე), საჭიროა ელექტროლიტების შემცველი ხსნარების მიღება.

– თუ აღნიშნული სიმპტომები ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. ექიმს მიმართეთ მაშინაც, თუ გრძნობთ უჩვეულო სიმპტომებს და ეს სიმპტომები დიდხანს ნარჩუნდება. თუ ადამიანს კანი გამომშრალი აქვს, ბოდავს, აქვს კრუნჩხვები ან გონება დაკარგა, საჭიროა სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება ან ოჯახის ექიმთან დაკავშირება. სასწრაფო დახმარების მოსვლამდე დაზარალებული გადაიყვანეთ გრილ ადგილას, დააწვინეთ ჰორიზონტალურად, აუწიეთ ფეხები, გაუხსენით ტანსაცმელი, რომ არ უჭერდეს; კისერზე, იღლიის ქვეშ, საზარდულის არეში დაადეთ ყინულის პაკეტი, ტანი დაუზილეთ 25-30C ტემპერატურის წყლით და გაუზომეთ სხეულის ტემპერატურა. გონებადაკარგული ადამიანი მოათავსეთ გვერდზე. დღისით ოთახის იდეალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 32C, ხოლო ღამით კი 24C-ს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და 60 წელის ასაკს გადაცილებული ადამიანებისათვის, ასევე მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებების დიაგნოზი აქვთ, – აცხადებენ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრში.

# ცოლისა და სიდედრის წამებაში ბრალდებულმა შესაძლოა ციხე დატოვოს



ახალციხეში ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც მეუღლისა და სიდედრის წამებაშია ბრალდებული, შესაძლოა საპატიმრო 2 თვეში დატოვოს.

არტურ გრიგორიანის წინააღმდეგ მისი მეუღლე ჩვენებას ცვლის.

პროკურატურამ ოჯახის წევრის მიმართ ძალადობისა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანების ფაქტზე ა.გ.-ს ბრალდება გასულ თვეს წარუდგინა. სასამართლომ კი ამ უკანასკნელს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

ოფიციალური ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 25 ივლისს, დაახლოებით 12 საათზე, ქ. ახალციხეში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ა.გ.-მ ყოფილი მეუღლის დედას ლ.რ.-ს, მისივე საცხოვრებელი სახლის ეზოში ზურგის არეში ელექტროშოკი მიადო, აეროზოლი შეასხურა და ხელის კვრით წააქცია, რის შედეგადაც მიაყენა სხეულის დაზიანება, შემდეგ კი ყოფილ მეუღლეს ო.რ.-ს ტრავმატული პისტოლეტის თავის არეში დარტყმით და რამდენიმე გასროლით სხეულის სხვადასხვა ადგილებში მიაყენა მრავლობითი დაზიანებები, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ო.რ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში.

ა.გ. სამართალდამცველებმა ფაქტის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ ძალადობა რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) და 11 პრიმა 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) წარედგინა.

# პოლიციამ დავით როსტომაშვილზე თავდამსხმელი დააკავა

„კურიერის“ ინფორმაციით, მსახიობ დავით როსტომაშვილის საქმეზე პოლიციამ რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი პირი დააკავა.

დაკავებულის ადვოკატის ინფორმაციით, აგაჯანოვი ყაჩაღობაში დახმარების ბრალდებით აიყვანეს.

– აგაჯანოვი არ უარყოფს, რომ მანქანით მოძრაობდა და მივიდა იმ ადგილას და ასე შემდეგ, – აცხადებს არტიომ აგაჯანოვის ადვოკატი გულსუნდა პოლიაშვილი.

ზურაბ ქუთელიას ადვოკატი, ალექსანდრე კობახიძე, კი აცხადებს, რომ არტიომ აგაჯანოვზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება, რათა მან ხელი ზურაბ ქუთელიას დაადოს.



– აგაჯანოვი იმიტომ დააკავეს, რომ მასზე ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რომ ხელი დაადონ ქუთელიას. მან უკვე ითანამშრომლა გამოძიებასთან და თქვა კონკრეტულად, ძალიან ცალსახად, რა იყო, როგორ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბრალდების მხარემ აღნიშნული არ გაიზიარა და გადაწყვიტა, რომ მაინც ციხეში გაეშვათ ეს პიროვნება, რომელიც მე მიმაჩნია, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანია, – განაცხადა ალექსანდრე კობახიძემ.

როსტომაშვილზე თავდასხმის საქმეში ბრალდებული ბექა კირვალიძის დედა, ლია ბეჟაშვილი, აცხადებს, რომ სამართალდამცველებს მისი შვილის წინააღმდეგ ნივთმტკიცებულება არ გააჩნიათ.

– ცხელ კვალზეა ჩემი შვილი დაჭერილი. როდემდე უნდა იმალოს ჩემი შვილი ან როდემდე იხარშონ ეს, თუნდაც, ზურა ქუთელია და ეს აგაჯანოვი ციხეში? პროკურატურა აწვება ამ ბავშვებს, რომ ეს ყაჩაღობა დამტკიცდეს, – აცხადებს ბექა კირვალიძის დედა ლია ბეჟაშვილი.

# არჩილ ჩოფიკაშვილი: „აფგან მუხთარლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება“




აფგან მუხთარლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აფგან მუხთარლის ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, მუხთარლის საჭმლის მომნელებელი სისტემის სერიოზული პრობლემა აქვს და მისი მკურნალობა ჯეროვნად არ ხორციელდება.

– პრობლემები აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით – ეს არის საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემა. რაც შეეხება მის მკურნალობას, რიგ შემთხვევაში არ ხორციელდება და, თუ დიდი ძალისხმევის შედეგად ხორციელდება, ისიც არაჯეროვანია. ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ჩაუტარეს მცირე მკურნალობა, – განაცხადა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

მისივე თქმით, პრობლემურ საკითხად რჩება ასევე, მუხთარლის მეუღლის ლეილა მუსტაფაევას მიმართ თვალთვალი.

– ლეილა მუსტაფაევას თვალთვალის საკითხზე მივმართეთ სამართალდამცველებს, მაგრამ პოლიციას არანაირი რეაგირება არ მოუხდენია, – განაცხადა ჩოფიკაშვილმა.

რაც შეეხება ქართველი სამართალდამცველების მიერ აფგან მუხთარლის აზერბაიჯანში დაკითხვას, ჩოფიკაშვილის თქმით, ეს ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

# შსს–მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო




სამართალდამცველებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი – 1967 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ი. და 1979 წელს დაბადებული ე.ა. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა, ე.ა.-ს პირადი ჩხრეკისას, 104 შეკვრად დაფასოებული, 9,2407 გრამი ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღეს. გ.ი.-ს პირადი ჩხრეკისას კი ამოღებულია 19 შეკვრად დაფასოებული, 1,6119 გრამი ჰეროინის შემცველი ნარკოტიკი. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებისას ე.ა., ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ე.ა.-ს მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, ხოლო გ.ი.-ს მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით).

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში 30 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 30 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს. შემთხვევა 5 აგვისტოს, საღამოს მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. უწყების ცნობით, ეჭვმიტანილი ჯერჯერობით დაკავებული არ არის.

# უშგულიდან მომავალი ავტომობილი მდინარეში გადავარდა




უშგულიდან მომავალი ავტომობილი მდინარეში გადავარდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტი ადგილიდან იუწყება, შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ მივიდნენ სამაშველო ჯგუფები, რათა ავტომობილის ამოყვანისა და მძღოლის საძიებო სამუშაოები დაეწყოთ.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილში მხოლოდ მძღოლი იმყოფებოდა. მისი მდგომარეობა უცნობია.

ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# შსს–მ სურამში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი დააკავა

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული გ.ჩ. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 5 აგვისტოს, სურამში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 136-ე კილომეტრზე, ავტომობილ „ნისან ტიდათი“ მოძრაობისას, გ.ჩ. ქვეითად მოსიარულეთა ტროტუარზე დედა-შვილს – 1979 წელს დაბადებულ შ.მ.-ს და 2012 წელს დაბადებულ ნ.ო.-ს დაეჯახა. ისინი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ.

გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ევროკავშირმა რუსეთს დამატებითი სანქციები დაუწესა

აშშ-ის მიერ რუსეთისათვის დამატებითი სანქციების დაწესებას ევროპა უარყოფითად შეხვდა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელმა პირდაპირ განაცხადა, რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების დაწესებით ევროპა ზარალდება, ამიტომ, კარგი იქნებოდა, გადაწყვეტილების მიღებამდე ამერიკელებს ჩვენთან კონსულტაციები გაემართათო. ექსპერტმა ვიტალი პორტნიკოვმა ამის მიზეზი ამომწურავად ახსნა: დღეს ევროპა რუსული გაზით ძირითადად უკრაინის გავლით მარაგდება; რუსეთ-უკრაინას შორის ფართომასშტაბიანი ომის დაწყების საფრთხე რეალურია, ამიტომ ევროპაც საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავს. საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში გაზსადენი დაზიანდება, ამიტომაც გერმანიის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა „თურქული ნაკადის“ მშენებლობას, რომელმაც უკრაინის გვერდის ავლით ევროპა რუსული გაზით უნდა მოამარაგოს. ამერიკის მიერ რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესება „თურქული ნაკადის“ მშენებლობას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.



– დღეისათვის რუსეთ-ევროპის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად, დადგა ახალი ანტიამერიკული ალიანსის შექმნის დრო, როდესაც რუსეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი და ევროპის სხვა ქვეყნები გაერთიანდებიან, – განაცხადა რუსმა პოლიტოლოგმა სერგეი მარკოვმა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, არავინ მოელოდა, რომ ევროპა რუსეთს დამატებით სანქციებს დაუწესებდა. სანქციების მიზეზი კომპანია შიემენსის მიერ ყირიმისათვის ტურბოგენერატორების მიწოდება გახდა. კომპანიის ხელმძღვანელობამ თავი იმართლა, ტურბოგენერატორები ყირიმის კი არა, კრანსოიარსკის მხარეს მივაწოდეთო.

– კრასნოიარსკის მხარესთან ხელშეკრულება გვქონდა გაფორმებული და მოვალენი ვიყავით, ტურბოგენერატორები მიგვეწოდებინა, – აცხადებდნენ შიემენსის წარმომადგენლები.

აღმოჩნდა, რომ რუსულმა მხარემ ტურბოგენერატორები ყირიმს თვითნებურად, ხელშეკრულების დარღვევით მიაწოდა. შედეგმაც არ დააყოვნა. ევროპამ რუსეთს დამატებითი სანქციები დაუწესა. ისინი გავრცელდა რუსეთის ენერგეტიკის მინისტრ ანდრეი ჩერეზოვზე, მინენერგოს დეპარტამენტის უფროს გრაბჩაკზე, აგრეთვე ტექნოპროექტის გენერალურ დირექტორ სერგეი ტოპორგოლკაზე და ა.შ.

– ევროკავშირის მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ მტრულ აქციას წარმოადგენს. რუსეთი იტოვებს უფლებას, საპასუხო ქმედებები განახორციელოს, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას რუსეთში ფრიად საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა. ვლადიმერ ჟირინოვსკის აზრით, აუცილებელია მოქმედება და არა ფუჭი განცხადებების კეთება:

– შეაიარაღეთ დონბასელი მოლაშქრეები, მიაწოდეთ მათ რაკეტები, ტანკები, თვითმფრინავები. შეავსეთ მოლაშქრეთა რიგები რუსი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით ისე, რომ ნოვოროსიის არმიის რაოდენობამ 200-300.000-ს მიაღწიოს. დადგა დრო, დასავლეთს ძალა ვაჩვენოთ, – აცხადებს ჟირინოვსკი.

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა ამჯერადაც გარკვეული რუსული ძალების პოზიცია გაახმოვანა. აშშ და ევროპა კი რუსეთის წინააღმდეგ კვლავაც ერთი ფრონტით გამოდიან. რუსეთ-დასავლეთის ჭიდილი გრძელდება.

# ანატოლი ვასერმანი საქართველოს ბოლომდე დაშლას მოითხოვს

ანატოლი ვასერმანი (დაბ. 1952 წელს) „ოდესის რესპუბლიკის“ შექმნის ერთ-ერთი იდეოლოგი იყო. მას გააჩნია პრეტენზია, რომ ინტელექტუალია. 2014 წლის 2 მაისის მოვლენების შემდეგ რუსეთში გაიქცა და ახლა მოსკოვში ცხოვრობს, ხშირად გამოდის ტელევიზიით, აქვეყნებს წიგნებსა და სტატიებს.



თავის უკანასკნელ ინტერვიუში ვასერმანმა განაცხადა, რომ ახალი ცივი ომი დაიწყო. იმისათვის, რომ ის მესამე მსოფლიო ომში არ გადაიზარდოს, რუსეთ- დასავლეთის (უწინარეს ყოვლისა, რუსეთ-აშშ-ის) შეთანხმებაა საჭირო. ახალი რკინის ფარდა აუცილებლად აღიმართება, მაგრამ სად? ეს საკითხი ჯერჯერობით ღიაა. ვასერმანმა დასავლეთს მოუწოდა, აღიაროს როგორც დონბასის რესპუბლიკების, ასევე სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობა.

– თუკი აკადემიკოსმა სახაროვმა თავის დროზე განაცხადა, საქართველო პატარა იმპერიააო, რატომ არ ცნობს მსოფლიო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს? აკი ისინი იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდნენ და, როგორც სახელმწიფოები, შედგნენ?! – ამბობს ვასერმანი.

ოდესელი სეპარატისტების იდეოლოგი ხმამაღლა აცხადებს, რომ მარქსისტი და სტალინისტია. ის სტალინურ რეპრესიებსაც ამართლებს.

– თუკი დიდი რუსეთი გვსურს, სტალინური ხაზი უნდა გატარდეს, – აცხადებს იგი.

„ინტელექტუალი“ გორბაჩოვისეულ პერესტროიკას საბედისწერო შეცდომად მიიჩნევს. ვასერმანი იმპერიის აღდგენის მომხრეა და საამისო მოდელიც გააჩნია. სეპარატისტების ლიდერის აზრით, უკრაინის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონს (დონბასი, ოდესა, ნიკოლაევი, ხერსონი, ზაპოროჟიე) დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს, უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე კი რუსეთმა ხელი უნდა აიღოს.

– დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფო უნდა იყოს იქ, სადაც საამისო რესურსები არსებობს, ანუ უკრაინა კიევითა და ლვოვით უნდა შემოიფარგლოს. წინააღმდეგი არა ვარ, თუკი ასეთი სახელმწიფო ევროკავშირის ან ნატოს წევრი გახდება. რაც შეეხება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, მისთვის „უკრაინული ფასეულობები“ უცხოა. ამ რეგიონის მოსახლეობას რუსეთი უნდა და ამას პატივი უნდა ვცეთ, – ამტკიცებს ვასერმანი.

სეპარატისტს არც ჩვენი ქვეყანა ავიწყდება. ის მიიჩნევს, რომ საქართველოს დაყოფა არ დასრულებულა და ეს პროცესი ბოლომდე უნდა მივიდეს.

– ნონსენსია, საქართველოს შემადგენლობაში იყვნენ ისეთი რეგიონები, როგორიცაა, მაგალითად, ჯავახეთი, რომელიც მუდამ სომხეთის ნაწილი იყო. ასევე ნონსენსია საქართველოს შემადგენლობაში აჭარის, სამეგრელოს, სვანეთის ყოფნა, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ენა, ზნე-ჩვეულებანი, კულტურა. რაც შეეხება აჭარას, ის თურქეთს უნდა დაუბრუნდეს, ოღონდ სანაცვლოდ თურქეთი ნატოდან უნდა გავიდეს, – ამტკიცებს ჭკუის კოლოფი.

# აშშ პარიზის შეთანხმებიდან გადის

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ აშშ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით შეთანხმებიდან (პარიზის შეთანხმება) გადის. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ გასვლის პროცესი ხანგრძლივია.




– სანამ ის არ დასრულდება, ჩვენ ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობას გავაგრძელებთ, – ნათქვამია განცხადებაში.

# აშშ-ში უმუშევრობა რეკორდულ მაჩვენებლამდე დაეცა

აშშ-ის შრომის სამინისტროს ცნობით, ქვეყანაში 209.000 დამატებითი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ეს, უწინარეს ყოვლისა, სარესტორნო ბიზნესს, მომსახურების სფეროსა და ჯანდაცვას შეეხება. უმუშევრობა 4,6%-მდე დაეცა.

უმუშევრობის ასეთი დაბალი მაჩვენებელი აშშ-ის მთელი ისტორიის განმავლობაში არ ყოფილა.

# პოლონეთს აშშ-სთან მოლაპარაკებების დაჩქარება სურს

პოლონეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე კოვნაცკიმ განაცხადა, რომ აშშ-სთან მოლაპარაკებები უნდა დაჩქარდეს. საუბარია ქვეყანაში პეტრიოტის ტიპის რაკეტების განთავსებაზე.

– რუსეთის აგრესიულობა იზრდება. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთი უკრაინას თავს დაესხას. ამერიკული რაკეტები ჰაერივით გვჭირდება, – აცხადებს კოვნაცკი.

# ვენესუელის გენპროკურორი თანამდებობიდან მოხსნეს

ვენესუელის საკონსტიტუციო ასამბლეა მუშაობას შეუდგა. პირველი დადგენილება უკვე მიღებულია: გენპროკურორი ორტეგა თანამდებობიდან გადააყენეს.



– ორტეგა უარს აცხადებდა, პრეზიდენტ მადუროს ბრძანებით ოპოზიციონერთა მასობრივი დაჭერები დაეწყო, უკანასკნელ ხანს კი პრეზიდენტს ხმამაღლა აკრიტიკებდა, – იტყობინება ბიბისი.

ოპოზიცია, ისევე, როგორც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, საკონსტიტუციო ასამბლეის არჩევას უკანონოდ მიიჩნევს. ქვეყანაში მდგომარეობა იძაბება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

- ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს ნაკრებმა ლიტვის ტურნირი მოიგო

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ლიტვის ტურნირის გამარჯვებული გახდა. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს მისსავე მოედანზე, სავსე ტრიბუნების წინ, დამაჯერებლად სძლია.

ტურნირში 4-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და ჩვენებს 2 მატჩის გამართვა მოუწია. საქართველოს ნაკრებმა ძალიან მნიშვნელოვანი ტესტი ჩააბარა – ნახევარფინალში ლატვიას მოუგო, ხოლო ფინალში ლიტვის ნაკრები დაამარცხა.

ლატვიის ნაკრები საკმაოდ ძლიერი გუნდია. მართალია ბალტიისპირელებს 2 წამყვანი კალათბურთელი – კრისტაფს პორჟინგისი და დევის ბერტანსი აკლდა, მაგრამ, თავის მხრივ, საქართველოც 2 წამყვანი კალათბურთელის გარეშე თამაშობდა – ტრავმირებული ვიქტორ სანიკიძე და ზაზა ფაჩულია.

გეხსომებათ, წინა ამხანაგურ მატჩში, რომელიც ჩვენმა ნაკრებმა ავსტრიაში ჩაატარა, 12-ქულიანი ლიდერობა გაანიავა და საბოლოოდ დამარცხდა. ახლა კი პირიქით. ქართველები მეორე პერიოდში 21:33 აგებდნენ, თუმცა მობილიზება შეძლეს და გამართული თამაშის წყალობით ვითარება მესამე მეოთხედშივე გამოასწორეს.

დიდი შესვენებისთვის ქართველები 33:39 აგებდნენ და გასახდელიდან დაბრუნებულებმა გარდატეხა მალევე მოახდინეს. პერიოდის საწყის 6 წუთში ჩვენი ნაკრების წევრებმა 18:5 გაქცევა მოაწყვეს. შესაბამისად, დიდ შესვენებაზე 6 ქულით ჩამორჩენილი ქართველები მესამე მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთით ადრე 7 ქულით გალიდერდნენ, რაც დაცვაში კარგი თამაშისა და შეტევაში შედეგიანობის დამსახურება გახდა.

ლატვიელები იოლად არ დანებდნენ და მესამე ათწუთეულის ბოლოსთვის ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს, ხოლო ბოლო პერიოდში ქართველებს ანგარიშიც გაუთანაბრეს, მაგრამ კარგი დაცვის ხარჯზე ზუროსის გუნდს შეტევაშიც გზა გაეხსნა და მანუჩარ მარკოიშვილის ზუსტი 2-ქულიანის შემდეგ, საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე 5 ქულით – 68:63 გალიდერდნენ.

აქ კი დაცვა ლატვიელებმა გაამაგრეს და ქართველების ზედიზედ 4 შეტევა მოიგერიეს, თავად კი შეტევაში ხეირობდნენ და ბოლო წუთზე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს. გიორგი ცინცაძის ზუსტმა 2-მა საჯარიმომ ქართველები კვლავ 3 ქულით გაალიდერა და ბოლო წამებზე ქართველებმა გამარჯვება დაიცვეს.

ჩვენს ნაკრებში 20 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო შედეგი დააფიქსირა გიორგი შერმადინმა. 14 ქულა მოაგროვა თორნიკე შენგელიამ, ხოლო გიორგი ცინცაძემ პირად ანგარიშზე 12 ქულა ჩაიწერა.

საინტერესო გამოდგა ლიტველებთან შეხვედრაც: ქართველებმა თამაში მშვენივრად დაიწყეს. დაცვაში მწყობრი თამაშის წყალობით ლიტველებს ბურთი რამდენჯერმე ჩაუჭრეს და შედეგიანი სწრაფი შეტევებით 6:0 გალიდერდნენ. როცა თამაში დალაგდა და შენელდა, ჩვენმა გუნდმა ბრძოლის ეპიცენტრი ფარქვეშ გადაიტანა, სადაც გიორგი შერმადინი, ფაქტობრივად, შეუჩერებელი იყო.




ლიტველებს აკლდათ ლიდერი იონას ვალანჩიუნასი, რომელსაც შვილი შეეძინა, რის შედეგად გიორგი შერმადინმა სამწამიან ზონაში გაილაღა. ჩვენი ნაკრების ცენტრი თავადაც აგდებდა ორქულიან საჯარიმოებს, რამდენჯერმე კი დამცველები თავისკენ მიიტყუა და ბურთი ფარქვეშ მარტო დარჩენილ მანუჩარ მარკოიშვილს, შემდეგ კი გიორგი ცინცაძეს გადააწოდა, რომლებმაც იოლად მიითვალეს ორქულიანები.

ლიტველთა მწვრთნელმა დაიუნის ადომაიტისმა წუთშესვენება აიღო, როცა ქართველების ლიდერობამ გვარიანად სოლიდური სახე მიიღო – 14:5. პირველი პერიოდის დარჩენილ 3 წუთში მასპინძლებმა თამაში გამოასწორეს, ქართველებმა კი სროლისას უზუსტობას უმატეს და ბალტიელებმა მეოთხედის ბოლოს ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირეს – 21:25.

მეორე მეოთხედი ქართველებმა ჩააგდეს. ათწუთეული 8:19 წააგეს, რაც შეტევაში გახშირებული შეცდომების და დაცვაში ყურადღების მოდუნების ბრალი გახლდათ. ლიტვამ მეორე პერიოდის ბოლოს ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ლიდერობით გავიდა – 40:33.

მესამე პერიოდი ქართველებმა შესანიშნავად ჩაატარეს და დაცვაში შედეგიანი თამაშის წყალობით, შეტევაში გზ რომ გაეხსნათ, ჩამორჩენა ხომ გავაბათილეთ და წინ გავედით. თორნიკე შენგელიამ მაიკლ დიქსონს დაცვაში გამოჩენილი ყოჩაღობა დაუფასა და მისგან მიღებული შორი პასი ორქულიანად აქცია – 50:49. ამის მერე თამაში ქულა ქულაში წავიდა, თუმცა უმეტესად წინ საქართველო იყო. მაიკლ დიქსონმა ზედიზედ 2 სამქულიანი ჩააგდო და ჩვენები 58:56 დააწინაურა. მესამე პერიოდის დასრულებამდე 4 წამით ადრე არტურას მილაკნისის სამქულიანით ლიტვამ მესამე პერიოდი 59:58 მოიგო.

მეოთხე პერიოდის დასაწყისში თამაში კვლავ ქულა ქულაში გაგრძელდა. უმეტესწილად კი ისევ ქართველები ლიდერობდნენ. მანუჩარ მარკოიშვილის მიჯრით მითვლილ 3 და 2-ქულიანს საქართველოს 5 ქულით დაწინაურება მოჰყვა – 68:63. ამას მალევე მოჰყვა დუდა სანაძის ზუსტი გარღვევა და დასრულებამდე 4 წუთით ადრე საქართველო უკვე 7 ქულით გადის წინ – 74:67.

შემდეგ თორნიკე შენგელიამ გაიბრწყინა – ჯერ 2 საჯარიმო ჩააგდო, დაცვაში კი მინდაუგას კუზმინსკასს დააფარა. აქ კი ყველაფერს წერტილი გიორგი შერმდინმა დაუსვა, რომელმაც შენგელიას პასით 2-ქულიანი ჩააგდო და საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე ქართველები 9 ქულით დააწინაურა – 78:69. ლიტველებს საბოლოო მახვილი დუდა სანაძემ ჩასცა, რომელმაც სამქულიანი მიითვალა და 81:70 – საქართველოს საამაყო გამარჯვება კლაიპედაში, ლიტვის ნაკრებთან. გუნდთან, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფავორიტია ყოველთვის და რომელთანაც არც ოფიციალური და არც ამხანაგური შეხვედრა არასდროს გვქონდა მოგებული.

ფინალური მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა თორნიკე შენგელია, რომელსაც სპეციალური პრიზი გადაეცა. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელის პრიზი კი ჩვენი ნაკრების ცენტრ გიორგი შერმადინს ერგო. ტურნირის მვპ ლიტვაში საქართველოს ელჩმა, ქალბატონმა ხათუნა სალუქვაძემ დააჯილდოვა.

დაბოლოს, ტურნირის საჩემპიონო თასი ამ მატჩში ჩვენი ნაკრების კაპიტანმა მანუჩარ მარკოიშვილმა ჩაიბარა, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა და ლიტვაში ჩვენი საელჩოს წარმომადგენლებმა ერთობლივი ფოტო გადაიღეს.

საქართველოს ნაკრები ლიტვიდან საქართველოში გამოემგზავრა.

# ტორპედომ ქულები დაკარგა. თბილისის დინამო და სამტრედია იგებენ

**დინამო (თბ)-დილა 5:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 ქარდავა (22), 2:0 მიქელთაძე (25), 3:0, 4:0 ჩაკვეტაძე (27, 67), 5:0 ქოჩლაძე (87)

**დინამო:** რევიშვილი, თოთაძე (თევზაძე 61), ლოჩოშვილი, გეგეჭკორი, ქარდავა, მიქელთაძე (ალიუ 70), ჩაკვეტაძე (ქოჩლაძე 83), შულაია, კოვტალიუკი, კობოური, ნინუა

**დილა:** მუჯრიშვილი, მაჩაიძე, რაზმაძე, გაგოშიძე, ტარავალიე, ქარქუზაშვილი, სოფრომაძე, კირკიტაძე (აშორტია 79), კვახაძე, ნუბიო (ნონიკაშვილი 78), პედრინიო (კუსიანი 29)

**გაძევება:** კვახაძე (12)




დაძაბულ და საინტერესო მატჩს ველოდით, მაგრამ არ შედგა. მიზეზად კი არბიტრ ლაშა სილაგავას არასწორი გადაწყვეტილება უნდა დავასახელოთ, რომელმაც მე-12 წუთზე უსამართლოდ გააძევა დილას კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე. ეს არ იყო სილაგავას პირველი შეცდომა – მანამდე მსაჯმა პენალტი არ დანიშნა გორელთა კარში...

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა მეხუთე წუთზე შექმნეს, ნიკა ნინუას მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დათო კობოურმა ძლიერად დაარტყა თავი, ბურთი ოდნავ აცდა სტუმართა კარს. ორიოდე წუთში მიკოლა კოვტალიუკი წააქციეს დილას საჯარიმოში, როგორც გითხარით, არბიტრმა თამაშის გაგრძელება ანიშნა. ამის შემდეგ ბექა მიქელთაძეს მართებდა გოლის გატანა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა. დინამოელთა უპირატესობა გამოიკვეთა და მე-12 წუთზე სტუმრები კაცნაკლულნი დარჩნენ. გიორგი ჩაკვეტაძე გადიოდა მეკარესთან პირისპირ გადიოდა და წაიქცა, მსაჯმა ჩათვალა რომ დინამოელთა შემტევი კვახაძემ აკრძალული ხერხით შეაჩერა და მსაჯისგან წითელი ბარათი დაიმსახურა. ბექა მიქელთაძის დარტყმული ჯარიმა გორელთა კიპერმა მოიგერია.

თბილისელებმა ანგარიში 22-ე წუთზე გახსნეს. ბექა მიქელთაძე მარცხენა ფრთიდან გაიჭრა, ჩააწოდა საჯარიმოში და ბაქარ ქარდავამ დინამოს ფორმით სადებიუტო გოლი გაიტანა. 3 წუთში ჩაკვეტაძის პასით მიქელთაძემ გაიტანა, რასაც 2 წუთში ჩაკვეტაძის ლამაზი გოლი მოჰყვა და ანგარიში 3:0 გახდა.

44-ე წუთზე ლუკა ლოჩოშვილმა ახლო მანძილიდან თავით ითამაშა კარგად, მუჯრიშვილმა იხსნა გორელთა კარი მეოთხე გოლისგან და პირველი ტაიმიც მორჩა.

მეორე ტაიმის მე-15 წუთზე ბაქარ ქარდავას დარტყმაა აღსანიშნავი, რომელიც მცირე მანძილით აცდა კარს. 68-ე წუთზე გიორგი ჩაკვეტაძემ ზუსტად და ლამაზად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და დუბლიც გაიფორმა – 4:0.

73-ე წუთზე გორის დილას კარი კიდევ ერთ გოლს გადაურჩა. აკაკი შულაიას დარტყმული ჯერ მცველს მოხვდა და შემდეგ ბურთი ხარიხამ მოიგერია. მატჩის 87-ე წუთზე დინამომ თავისი კოლოსალური უპირატესობა მეხუთე გოლში ასახა: გიორგი თევზაძის ჩაწოდებულ ბურთს ძლიერი დარტყმით ლაშა ქოჩლაძემ დილას კარში მიუჩინა ადგილი. საბოლოოდ დინამომ 5:0 იმარჯვა.

**ტორპედო-კოლხეთი 0:0**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ადამაძე, კაპანაძე (კორობკა 79), კუხიანიძე (კუტალია

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# 18 წლამდე ბიჭებმა მოგებები გადააბეს, გოგონებმა — წაგებები

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ჯგუფურ ეტაპზე ქართველებმა ხუთივე მატჩი წააგეს და ბრძოლა დარჩენისთვის განაგრძეს, რაც წარმატებით გამოუვიდათ.

პირველი გამარჯვება არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა გუნდმა ლუქსემბურგთან მოიპოვა, რომელსაც ქართველებმა დამაჯერებლად – 62:44 მოუგეს და თავიდან აირიდეს ბ დივიზიონის ბოლო ადგილებზე გასვლა.

საქართველოს ნაკრებში 12 ქულით ნიკა მეცხვარიშვილი გამოირჩა. 10 ქულა ჰქონდა ოთარ პერტაიას, ხოლო კახა ჟღენტმა და ლუკა კალატოზიშვილმა თავი 9-9 ქულას მოუყარეს.

ჟღენტის გუნდმა მეორედაც იმარჯვა – ქართველმა კალათბურთელებმა შვეიცარიას 76:62 სძლიეს. არადა, პირველი მეოთხედის მერე მეტოქეს 14 ქულით (15:29) ჩამორჩებოდნენ.

გასულ მატჩში საქართველოს ნაკრებში ყველაზე შედეგიანი ოთარ პერტაია იყო 17 ქულით, აკაკი ფიფიამ 14 ქულა ჩააგდო, ნიკა ჩეჩელაშვილის მონაგარი კი 13 ქულა იყო.

ქართველი კალათბურთელები ტურნირზე დასკვნით შეხვედრას ავსტრიასთან გამართავენ.

შედგა ქართველ 18 წლამდე გოგონათა ნაკრების დებიუტი ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში, რაც დამოუკიდებელი ქართული კალათბურთისთვის ჯერ-ჯერობით უმაღლესი საფეხურია. ნინო ყიფშიძისა და ზვიად დიდბარიძის გაწვრთნილმა ნაკრებმა 2 შეხვედრა გამართა. თუ ჩვენებმა ჰოლანდიასთან მეტნაკლებად კარგად ითამაშეს, რუმინეთთან სრულიად განადგურდნენ.



ჰოლანდიასთან ქართველებმა პირველი პერიოდი 11:19 დათმეს, ხოლო მეორეში 16:19 დამარცხდნენ. მესამე პერიოდის შემდეგ კი, ქართველების ჩამორჩენა 20 ქულას შეადგენდა, ხოლო დასკვნით ათწუთეულში ჰოლანდიელებმა მას 14 ქულაც წაამატეს და საბოლოოდ 84:50 იმარჯვეს. ჰოლანდიასთან ყველაზე გამორჩეული ნატალია ოთხმეზური გახლდათ, რომელმაც 22 ქულა მოაგროვა.

რუმინეთთან მატჩზე კი რა უნდა გითხრათ: ჩვენებმა პირველი მეოთხედი 33:7 წააგეს და მატჩის ბედიც აქ იყო გარკვეული. რუმინელები ამას არ დასჯერდნენ და მეორე ათწუთეული 43:12 მოიგეს, შემდეგ კი ტემპი დააგდეს და მატჩი მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

## შედეგები

**5 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

ზამბია-ეთიოპია .......... 0:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარტონი-კარდიფი .......... 0:1
ბრისტოლი-ბარნსლი .......... 3:1
ვულვზი-მიდლსბრო .......... 1:0
იფსვიჩი-ბირმინგემი .......... 1:0
ქპრ-რედინგი .......... 2:0
პრესტონი-უენსდი .......... 1:0
ფულემი-ნორვიჩი .......... 1:1
შეფილდი-ბრენტფორდი .......... 1:0
ასტონ ვილა-ჰალი .......... 1:1

**გერმანია. სუპერთასი**

დორტმუნდი-ბაიერნი .......... 2:2(4:5პ)

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-ბოხუმი .......... 1:1
ბრაუნშვაიგი-ჰაიდენჰაიმი .......... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ამიენი .......... 2:0
ლიონი-სტრასბური .......... 4:0
მეცი-გენგამი .......... 1:3
მონპელიე-კანი .......... 1:0
სტ.ეტიენი-ნიცა .......... 1:0
ტრუა-რენი .......... 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-ორლეანი .......... 2:0

**ჰოლანდია. სუპერთასი**

ფეინოორდი-ვიტესი .......... 1:1(4:2პ)

**პორტუგალია. სუპერთასი**

ბენფიკა-გიმარაეში .......... 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ახმატი .......... 3:2
დინამო-ამკარი .......... 3:0
ლოკომოტივი-სკა ხაბაროვსკი .......... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-ჰართსი .......... 4:1
კილმანროკი-სტ.ჯონსონი .......... 1:2
დანდი-როსი .......... 1:2
ჰიბერნიანი-პარტიკი .......... 3:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ციურიხი .......... 0:0
თუნი-ბაზელი .......... 0:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-სტ.პოლენი .......... 2:0
ზალცბურგი-ადმირა .......... 5:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

მუსკრონი-შარლერუა .......... 2:5
ბევერენი-მეხელენი .......... 2:2
კორტრაიკი-ლოკერენი .......... 1:0
ვარეგემი-სტ.ტრუიდენი .......... 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხია-გურნიკი .......... 1:1
ზაგლებიე-პოგონი .......... 3:0
ნეცეჩა-ლეგია .......... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-სტალი .......... 3:1
შახტარი-მარიუპოლი .......... 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-რანდერსი .......... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰალმშტადი-იონჩოპინგი .......... 6:1
იორებრო-ელფსბორგი .......... 2:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

რუსენბორგი-კრისტიანსუნდი .......... 4:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ილვესი-ჯჯკ .......... 2:1
კუუპიო-როვანიემი .......... 3:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ტორპედომ ქულები დაკარგა. თბილისის დინამო და სამტრედია იგებენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

46), ფალავანდიშვილი, გურული, დოლიძე, ქიმაძე, გიგაური, ტუღუში (კუჭუხიძე 60)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გ.კილასონია, გოგონაია, ნონდი, კაკულია (დერებჩინსკი 46), ბროვკო (ბახია 77), დაფე, ოტიენო, ჯანელიძე (მაჩარია 90), ბოლქვაძე, ვ.კილასონია

რა უნდა ვთქვათ მატჩზე, როდესაც სიტუაცია მხოლოდ ორჯერ გამწვავდა. პირველი ხიფათი ფოთელებმა შექმნეს, როდესაც არფანგ დაფე მახვილი კუთხიდან მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთი გიორგი ჯანელიძეს გადააწოდა, რომელმაც დააყოვნა და შეტევა ჩაიშალა.

მატჩის მიწურულს გრიგოლ დოლიძეს თავური დარტყმით მისი გუნდისთვის 3 ქულის მოპოვება შეეძლო, თუმცა მისი დარტყმული ბურთი კონსტანტინე სეფიაშვილის კარს ასცდა.

ეს იყო და ეს... ტორპედომ ქულები დაკარგა და გარდა იმისა, რომ დინამოსთან კიდევ უფრო ჩამორჩა, სამტრედიას მიახლოების შანსი მისცა...

**დინამო (ბთ)-სამტრედია 0:1**

**ბათუმი. რაგბი არენა**

0:1 საბანაძე (69)

**დინამო:** შოვნაძე, ფარტენაძე, შონია, თევდორაძე, სუხიაშვილი, კვირკველია, ჩოგაძე, გრიგალაშვილი, ტვილდიანი, არზიანი (ვარშანიძე 75), კვანტალიანი (კეკუა 85)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, სანდოხაძე, კასრაძე, ბალდე, მანჯგალაძე (გოგიაშვილი 90), დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი, ჯიქია (მარკოზაშვილი 65), გიი, საბანაძე

ბათუმური მატჩი საინტერესო გადმოდგა და მოიგო გუნდმა, რომელმაც მომენტის რეალიზება შეძლო. გადამწყვეტი გოლი საბანაძემ გაიტანა, რომელმაც გიული მანჯგალაძის ჩაწოდებულ კუთხურს მძლავრი თავური დარტყმა მიაყოლა.

არადა, სანამ საბანაძე გაიტანდა, ზღვისპირელებს რამდენიმე კარგი მომენტი შეექმნათ, მაგრამ მასპინძლები უზუსტობამ დაალალატა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 21 | 16 | 1 | 4 | 54-15 | 49 |
| 2.ტორპედო | 21 | 13 | 5 | 3 | 31-14 | 44 |
| 3.სამტრედია | 21 | 13 | 3 | 5 | 33-21 | 42 |
| 4.ლოკომოტივი | 20 | 9 | 3 | 8 | 35-23 | 30 |
| 5.ჩიხურა | 20 | 9 | 2 | 9 | 27-32 | 29 |
| 6.საბურთალო | 20 | 8 | 2 | 10 | 23-27 | 26 |
| 7.დინამო (ბთ) | 21 | 7 | 2 | 12 | 17-26 | 23 |
| 8.დილა | 21 | 5 | 7 | 9 | 24-31 | 22 |
| 9.კოლხეთი | 21 | 4 | 7 | 10 | 18-35 | 19 |
| 10.შუქურა | 20 | 1 | 4 | 15 | 15-53 | 7 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 15 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 11-11; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხ/დინამო თბ) – 10.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ასტროპროგნოზი

## 7 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ძველი პრობლემების მოსაგვარებლად ახალ მეთოდებს მიმართეთ. მიენდეთ ინტუიციას. **კურო** – წარსულის ნეგატიური ზეგავლენისგან მალე გათავისუფლდებით. ახალი ნაცნობობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას არ უჩივით. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. მიზანს იოლად მიაღწევთ. **კირჩხიბი** – მოსალოდნელია მცირეოდენი უსიამოვნება და კამათი ოჯახის წევრებთან. უმჯობესია, თუ კომპრომისზე წახვალთ. **ლომი** – აქტიურად დაისვენეთ. ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, ივარჯიშეთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ქალწული** – ოჯახში ჰარმონია და სიყვარული თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას გონივრულად მიიღებთ. **სასწორი** – მშვენიერი პერიოდია უკვე დამთავრებული საქმეების გასაანალიზებლად, ახალი გეგმების შესამუშავებლად. თქვენი მომხიბვლელობის წყალობით ახალ მოკავშირეებს იოლად შეიძენთ. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ფორტუნა გიღიმით. ასევე წარმატებული დღეა საბიუჯეტო სფეროს მუშაკებისთვის. ინტუიციას ნუ მიენდობით, რეალობის აღქმა შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იმედითა და რწმენით სავსე ხართ. დღევანდელი დღის მოვლენები თქვენს მომავალზეც იმოქმედებს. **თხის რქა** – ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში. ემოციებს არ აჰყვეთ. მშვიდად იმუშავეთ. **მერწყული** – რთული და წინააღმდეგობრივი დღეა. გელით წარმატებებიც და იმედგაცრუებაც. პოზიტივის შექმნაში თქვენთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება. კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ამერიკელ პენსიონერს პლაჟზე სიარული აუკრძალეს




ამერიკის ფლორიდის შტატში პენსიონერ მამაკაცს ადგილობრივ პლაჟებზე გამოჩენა იმის გამო აუკრძალეს, რომ ის გამვლელებს სავიზიტო ბარათებს ურიგებდა, რომელზეც ეწერა: „მამიკო ეძებს თავის ტკბილ გოგონას“. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცს ერთ-ერთი იმ გოგონას დედამ უჩივლა, რომელსაც პენსიონერმა ბარათი მისცა.

პლაჟის თანამშრომლის თქმით. რომელიც ვოლუსის ოლქში მდებარეობს, 73 წლის რიჩარდ ბასარაბამ დაარღვია დადგენილება, რომელიც საზოგადოებრივ ადგილას მოქალაქეების შეწუხებას კრძალავს. მამაკაცს სანაპიროს ამ მონაკვეთზე გამოჩენა ნახევარი წლის განმავლობაში აეკრძალა.

გოგონას დედამ, კაროლინა სიმანმა, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ერთ დღეს ბასარაბა მის 16 წლის გოგონასთან მივიდა და გადასცა სავიზიტო ბარათი, თანაც სიტყვიერად დააყოლა, რომ თავის კონკიას ეძებს. ბარათზე ეწერა: „მამილო ეძებს თავის ტკბილ გოგონას, ვთავაზობ ყოველთვიურ შემწეობას“. ტექსტს თან ახლდა გოგონას გამოსახულება, რომელიც მუხლებზე უზის ხანდაზმულ მამაკაცს. პენსიონერს ეცვა მაისური ასეთივე წარწერითა და სურათით.

ამ შემთხვევის შემდეგ სიმანი დაუკავშირდა არა მხოლოდ პლაჟის ხელმძღვანელობას, არამედ რამდენიმე ორგანიზაციასაც. ქალის თქმით, მათ 73 წლის პენსიონერი კონტროლზე უნდა აიყვანონ.

## ინდოეთში გზატკეცილზე მორბენალი მარტორქა ვიდეოზე გადაიღეს

ინდოეთის ასამის შტატში ვიდეოზე აღბეჭდეს მარტორქა, რომელიც გზატკეცილზე დარბოდა.

ვიდეორგოლი ტვიტერში ბი-ბი-სი ნიუსის გვერდზე იქნა გამოქვეყნებული და ერთ დღე-ღამეში 3,8 ათასზე მეტი მოწონება და 2,4 ათასზე მეტი გადაწერა მიიღო.



აღსანიშნავია, რომ ინდური მარტორქა აზიაში სპილოს მერე სიდიდით მეორე ცხოველია, მისი წონა 2,5 ტონას აღწევს. ბოლო ასი წლის განმავლობაში მისი საბინადრო არეალი მნიშვნელოვნად შემცირდა, ისინი ახლა მხოლოდ სამხრეთ პაკისტანში, აღმოსავლეთ ინდოეთსა და ნეპალში ბინადრობენ. ყველგან ისინი მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზე სახლობენ, ვინაიდან ბრაკონიერებისთვის მეტად სასურველ ნადავლს წარმოადგენენ, რომლებიც ამ ცხოველებზე მათი რქის გამო ნადირობენ, რომელსაც სასწაულმოქმედი თვისებები მიეწერება.

## ჟურნალისგან მერილინ მონროს სურათის გამო მილიონ დოლარს მოითხოვენ

ჟურნალ Vanisty Fair-ისგან დაახლოებით მილიონ დოლარს მოითხოვენ ჰოლივუდის ვარსკვლავ მერილინ მონროს ფოტოსურათის გამოქვეყნებისთვის.

გამოცემის წინააღმდეგ სარჩელი კოლექციონერმა არიკ ჰენდრიქსმა შეიტანა. მისი მტკიცებით, სურათზე უფლებები მას ეკუთვნის.



მონროს ფოტოსურათი პრეზიდენტ ჯონ კენედის დაბადების დღის აღსანიშნავად მოწყობილ ზეიმზე იქნა გადაღებული, რომელიც 1962 წელს ნიუ იორკში, მედისონ-სკვერგარდენში გაიმართა. სწორედ მაშინ უმღერა მსახიობმა ქვეყნის მეთაურს, რომელსაც იმ დღეს 45 წელი შეუსრულდა, სიმღერა Happy Birthday.

როგორც ჰენდრიქსმა განაცხადა, მას ეკუთვნის თავად ფოტოსურათებიც და მისი ნეგატივებიც. კოლექციონერის თქმით, ჟურნალს მისთვის სურათის საგანგებოდ მონროსთვის მიძღვნილ ნომერში გამოყენებაზე თანხმობის მისაღებად არ მიუმართავს. საუბარია 2016 წლის ივლისის ნომერზე.

ჟურნალის მხრიდან ამ საკითხზე კომენტარები ჯერ არ გაკეთებულა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ბარაკ და მიშელ ობამები ქორწილში მიწვევებს ისევ იღებენ

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი მეუღლე მიშელი კვლავაც პასუხობენ უცნობებს, რომლებიც მათ საქორწინო მოსაწვევებს უგზავნიან.




გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხალხს ისე ძლიერ მოენატრა ობამების წყვილი, რომ დღემდე მათ ქორწილებში იწვევენ, ხოლო ექსპრეზიდენტი და ყოფილი პირველი ლედი ასეთ თხოვნებზე პასუხების მიწერას აგრძელებენ.

მაგალითად, გასული თვის ბოლოს ტვიტერის ერთ-ერთმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც დედამისმა ლიზ უიტლოუმ ბარაკ და მიშელ ობამების ოფისიდან მიიღო. წყვილმა საქორწინო ცერემონიაზე დასწრება ვერ მოახერხა და ამიტომ მისალოცი წერილის გაგზავნით შემოიფარგლნენ.

ამის შემდეგ სხვა ინტერნეტმომხმარებლებმაც დაიწყეს ექსპრეზიდენტისა და ყოფილი პირველი ლედის ქორწილში მიწვევის საპასუხოდ გამოგზავნილი მათი პასუხების გამოქვეყნება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სკანვორდი



1. სასწორის თეფში; 2. მედეა ჩახავას კინოროლი; 3. დამხმარე თეორემა; 4. სასმისი; 5. რასაც ყური აღიქვამს; 6. ნადავლი; 7. სანადირო თოფის წვრილი ტყვიები; 8. ჭამის სურვილი; 9. ზღვის ბრტყელი თევზი; 10. ზღვის წყალმარჩხი უბე; 11. ოფიცრის წოდებულება არმიაში; 12. ... კობზონი; 13. იაპონური ჭიდაობა; 14. მამრობითი სქესის ქათამი; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ლენტი; 17. მდინარე, რომელშიც ქრისტე მოინათლა; 18. ციხესიმაგრე და საპყრობილე პარიზში (ძვ.); 19. სპორტული შეჯიბრების მსაჯი; 20. ... ფარულავა; 21. ხელოვნების დარგი; 22. სახელმწიფო აფრიკაში; 23. ჭამა ერთ ჯერობაზე; 24. ქურციკი; 25. ჰიგიენური დაწესებულება; 26. მსხვილი მახრჩობელა გველი; 27. ჩრდილოეთი; 28. სარტყმელი საკრავი; 29. სოფელი თელავის რაიონში; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. ფანი ...; 32. ციფრი; 33. გერმანული ავტომარკა; 34. ჰერას ქურუმი ქალი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლებარდე; 2. პოტომაკი; 3. „მიტარბი“; 5. კიშინოვი; 7. გერგეტი; 9. პლაცკარტი; 13. სანტოსი; 15. აიაზმა; 16. მიქლიო; 18. უფიცა.

**თარაზულად:** 4. რედიკული; 6. ეკოლოგია; 8. მარკშეიდერი; 10. ნიგერია; 11. ალბა; 12. უტზონი; 14. იარდი; 17. კაშია; 19. ვარდი; 20. ალგოლოგი; 21. იაგო; 22. ბარბაროსი; 23. „ბაკარდი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაყვალი; 2. აბიო; 3. კოლიე; 4. არწივი; 6. „ზარზუელა“; 9. ლესოტო; 13. დარჯაკი; 14. თაღლითი; 15. კამორა; 17. კროლი; 18. „გიუმი“.

**თარაზულად:** 1. „მნათობი“; 5. კიაზო; 7. ბოსფორი; 8. ყვირილა; 10. მახრა; 11. იფქლი; 12. ლისიპე; 16. მარალი; 17. კონგო; 19. რაჭა; 21. თოხანი; 22. ალბომი; 23. კაჭიჭი; 24. ზიდანი.

# ხატია ბუნიათიშვილი და ზუბინ მეტა წინანდალში კონცერტს გამართავენ

მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი და ლეგენდარული მაესტრო ზუბინ მეტა წინანდალში შემოდგომაზე ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

ინფორმაციას რეჟისორი დავით საყვარელიძე ავრცელებს, რომლის სახელთანაც არაერთი სასიამოვნო და მნიშვნელოვანი კონცერტისა თუ სპექტაკლის განხორციელებაა დაკავშირებული:

– ყურადღება, ყურადღება! სუპერ სასიხარულო ამბებია! ისრაელის ფილარმონიული ორკესტრი მაესტრო ზუბინ მეტას დირიჟორობით სექტემბერში ჩამოვა საქართველოში. ორმაგად სასიხარულოა, რომ ზუბინ მეტასთან დაუკრავს ხატია ბუნიათიშვილი, რომლის დახმარებითაც, დიდი ძალისხმევით შედგა კონტაქტი ამ საოცარ ორკესტრთან. „სილქროუდ ჯგუფი" გახლავთ ამ პროექტის ავტორიც და მასპინძელიც. ის განუზომელ საქმეს აკეთებს, შენდება საკონცერტო ამფითეატრი 1000 მაყურებელზე. უკვე მივიღეთ ცნობა საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან, ეკონომიკის მინისტრისგან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისგან, რომ ისინი დახმარებას გაუწევენ წამოწყებულ საქმეს. ეს კონცერტი ეძღვნება მომავალ „წინანდლის ფესტივალს", რომელიც 2019 წელს დაიწყებს ფუნქციონირებას.



მოკლედ, 2017 წლის სექტემბერში ისრაელის ფილარმონიული ორკესტრი, ფენომენალური მაესტრო ზუბინ მეტა და განუმეორებელი ხატია ბუნიათიშვილი ეწვევიან ჩვენს ქვეყანას.

კონცერტი წინანდალში 14 სექტემბერს გაიმართება. უდიდესი მადლობა ხატიას, რომლის თხოვნითაც ჩამოდის ზუბინ მეტა საქართველოში. ასე მითხრა: ძალიან მინდა, რომ ეს ორკესტრი ქართველმა მუსიკის მოყვარულებმა მოისმინონ. ხატია არის დიდი მუსიკოსი, ღრმა, მოაზროვნე და საოცარი ბუნების მქონე ადამიანი.

ხატია ბუნიათიშვილისა და ზუბინ მეტას თანამშრომლობაზე გერმანულ-ფრანგული ტელეარხი არტე აკეთებს დოკუმენტურ ფილმს. ხატიას სურვილით ამ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტურ ფილმს საქართველოში გადაიღებენ. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის კლასიკურ მუსიკას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ამ ფესტივალთან დაკავშირებით წინანდლის მუზეუმმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ შვეიცარიის საკურორტო ქალაქ ვერბიეში ხელი მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას წინანდლისა და ვერბიეს ფესტივალების დამფუძნებლებს შორის:

– შვეიცარიის საკურორტო ქალაქ ვერბიეში, რომელიც ცნობილია, როგორც კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფესტივალის სამშობლო ევროპაში, ხელი მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას, წინანდლის ფესტივალის დამფუძნებლებსა და ვერბიეს ფესტივალის დამფუძნებლებს შორის. ვულოცავთ კლასიკური მუსიკის ქართველ მოყვარულებს ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი პარტნიორების დახმარებით წინანდლის ფესტივალი საერთაშორისო მნიშვნელობის მუსიკის ფორუმად მოგვევლინება.

# ფიტარეთის მონასტერთან გამაფრთხილებელი აქცია გაიმართა



საყდრისის კომიტეტის წევრებმა ფიტარეთის მონასტერთან გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებას, რეაგირება მოახდინოს არემჯი გოლდის ქმედებაზე, რომელმაც 2-3 დღის წინ საცდელი აფეთქება განახორციელა.

თავის მხრივ, არემჯი გოლდის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისტორიულ ძეგლსა და გარემოს საფრთხე არ ემუქრება. მათთვის საყდრისის კომიტეტის პოზიცია გაუგებარია.

როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუმარტეს, არემჯი გოლდთან ფიტარეთში აფეთქება შეთანხმებული არ ყოფილა. ინსპექტირების ჯგუფი საკითხში გაერკვევა და დაადგენს, ჯდება თუ არა ამ კომპანიის ქმედება ნორმატიულ ჩარჩოში:

– კომპანიას ნებართვა მიღებული აქვს არქეოლოგიურ შესწავლაზე, რომელსაც გადაცდომის გარეშე ახორციელებს. საყდრისის კომიტეტი აფეთქებაზე საუბრობს. ეს ჩვენთან შეთანხმებული არ ყოფილა. როგორც გაირკვა, არემჯი გოლდის მენეჯმენტი ჩვენთან შეთანხმებას საჭიროდ არ მიიჩნევდა. ჩვენი ინსპექტირების ჯგუფი აუცილებლად გაერკვევა ამ ვითარებაში, შეისწავლის ადგილს, სადაც მოხდა აფეთქება. დასკვნის საფუძველზე გაირკვევა, იყო თუ არა სავალდებულო სააგენტოსთან ამ ქმედების შეთანხმება. განისაზღვრება, ეხება თუ არა ეს ადგილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონას. ამის შემდეგ ჩვენ უკვე შეგვეძლება იმის თქმა, იყო თუ არა მათი ქმედება ნორმატიულ ჩარჩოში მოქცეული. ზოგადად, ახალ ობიექტზე სამთო- მოპოვებითი სამუშაოების შეთანხმება აუცილებელია. სააგენტომ არქეოლოგიური კვლევის ჩატარების ნებართვა გასცა. არქეოლოგიური შესწავლა მიმდინარეობს და არემჯი გოლდი პროცესს გადაცდომის გარეშე ახორციელებს. მათ ანგარიშს ჩვენი საბჭო განიხილავს და შემდეგ სპეციალური დასკვნა მომზადდება.

# გონიოს ციხეში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა

გონიო-აფსაროსის ციხის სამ სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა.



გათხრებს პოლონელი და ქართველი სპეციალისტები აწარმოებენ, რომელთა აღმოჩენებიც ციხის სხვადასხვა ფენაში რამდენიმე საუკუნეს ითვლის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ისტორიული ციხესიმაგრის მნიშვნელობას. აღმოჩენილი ნივთები გონიოს ციხის მუზეუმ-ნაკრძალში დაიდებს ბინას.

არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელები, არქეოლოგიური მასალებისა და ნაშთების აღმოჩენის შემდეგ, აღნიშნავენ აფსაროსის ისტორიული სიმდიდრის შესახებ. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ერთმანეთზეა დაფენილი 2 ეპოქის – რომაული და ოსმალური პერიოდის ნაშთები, რომელთა შესწავლა და გამიჯვნა ძალზე საინტერესო პროცესია.

პოლონური ჯგუფის მიერ აღმოჩენილი აბანოს გვერდით სველი წერტილის ნაშთებიც იპოვეს. ყაზარმების შესწავლის შედეგად, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ ტერიტორიაზე გარნიზონის მეთაურის სახლი უნდა ყოფილიყო.

# ნინო მაჩაიძე როსინის საოპერო ფესტივალში მიიწვიეს



ქართველი საოპერო მომღერალი ნინო მაჩაიძე როსინის საოპერო ფესტივალში მიიწვიეს.

ფესტივალს იტალიის ქალაქი პესარო მასპინძლობს. 10 აგვისტოს კლასიკური მუსიკის მოყვარულები როსინის ერთ-ერთ ოპერას მოისმენენ. ნინო მაჩაიძესთან ერთად დამსწრე საზოგადოებისთვის საოპერო ვარსკვლავები სერგეი რომანოვსკი, ლუკა პისარონი და ჯონ ირვინი იმღერებენ.

როსინის ეს ოპერა რობერტო აბადომ დადგა. საოპერო სპექტაკლს იტალიის ტელევიზია „რაის" ორკესტრი უდირიჟორებს.

სპექტაკლში მონაწილეობის გარდა, ნინო მაჩაიძე დაინტერესებულებისთვის მასტერკლასებსაც ჩაატარებს.

# სოფო ტოროშელიძე რუსთავი 2-დან წავიდა



მომღერალი სოფო ტოროშელიძე, რომელიც მაყურებელმა მუსიკალურ შოუ „ვარსკვლავების აკადემიიდან" გაიცნო, ტელეკომპანია რუსთავი 2-დან წავიდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა სოციალური ქსელის საშუალებით გაავრცელა. რუსთავი 2-დან ტელეკომპანია იმედში გადასულმა ეკა ამირეჯიბმა სოფოს სტატუსზე დაუკომენტარა – ისევ ერთად? ეკა ამჟამად ტელეკომპანია იმედში მუშაობს, გადავიდა თუ არა სოფო ტოროშელიძეც იმედში, ამ დრომდე უცნობია.

სოფო რუსთავი 2-ში საერთაშორისო პროექტების მუსიკალურ დირექტორად მუშაობდა. მომღერალი „იქს ფაქტორის" ერთ-ერთი სეზონის ჟიურის წევრიც იყო და ჯგუფების კატეგორიას ხელმძღვანელობდა.

გააგრძელებს თუ არა სხვა ტელევიზიაში მუშაობას სოფო ტოროშელიძე, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

# გიორგი ყიფშიძე ჟურნალისტებს გაუნაწყენდა

მსახიობი გიორგი ყიფშიძე ჟურნალისტებს გაუნაწყენდა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი უკვე მიჩვეულია მუდმივად ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში ყოფნას, დაუკითხავად მასზე გავრცელებულმა ინფორმაციამ მსახიობი გააბრაზა.

მან საჯაროდ მოუწოდა ჟურნალისტებს, ნებისმიერი ინფორმაცია მასთან გადაამოწმონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეექმნებათ.

გიორგი ყიფშიძესთან დაკავშირებული სატელეფონო ზარებით შეწუხდა მსახიობი ნატა გულიაშვილიც:



– ჩემო მეგობრებო, მეზობლებო, ნაცნობებო და უცნობებო. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ და დაგიდასტუროთ, რომ მე და გიორგი ყიფშიძეს შორის ნამდვილად არაფერი ხდება და ჩვენ მართლა მეგობრები ვართ. ძალიან გთხოვთ, ამ თემასთან დაკავშირებით ნუღარ დამირეკავთ.

# ირმა ნიორაძეს ბათუმში საბალეტო ვარსკვლავები ჩამოჰყავს



ცნობილ ქართველ ბალერინა ირმა ნიორაძეს ბათუმში მსოფლიოში აღიარებული საბალეტო ვარსკვლავები ჩამოჰყავს.

9 აგვისტოს ბლექ სი არენაზე გაიმართება ირმა ნიორაძისა და მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების კონცერტი „ვუძღვნი ვახტანგ ჭაბუკიანს".

კონცერტში სპეციალური მიწვევით ქართული ნაციონალური ბალეტი სუხიშვილები მიიღებენ მონაწილეობას. კონცერტში ასევე მონაწილეობენ ეკატერინე ბორნენკო, ივან ზაიცევი, ადიმხან ბახტიარი, მადინა ბასბაევა, სერხიო ბერნალი, ილზე ლიეპა, ალონა კოვალევა, იაკოპო ტისი, ეკატერინა პერვუშინა, მიხაილ ლობუხინი, მარინა იაკოვლევა, იაკობ ფეიფერლიკ, იონა აკოსტა, ლაურეტა სამერსკეილ.

წარმოდგენის დამდგმელი რეჟისორია ანდრის ლიეპა, სამხატვრო ხელმძღვანელი კი ირმა ნიორაძე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

ოჩშაბათი
7 აგვისტო

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისკენ**" **10.10, 02.25** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00** დღის მხ/ფ "**მილიონ გირვანქიანი ბანკნოტი**" (გ. პეკი) **15.00** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**ტკბილი თავისუფლება**" (მ.პფაიფერი) **01.10** მხ/ფ "**მშვიდობით გარი**" **03.25** მხ/ფ "**მილიონ გირვანქიანი ბანკნოტი**" (გ.პეკი) **05.00** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**08.00, 14.40** სერ. "**ელიფი**" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" 6 სერ. **16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" 1 სერ. **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ვიკინგები 3**" 7-8 სერ. **00.00** მხ/ფ "**კარგი ადამიანები**" **01.30** მხ/ფ "**ბრალდებულები**" **03.30** მხ/ფ "**სიყვარული და ღირსება**" **05.30** მხ/ფ "**ილუზიონისტი**"

**05.30** სერ. "**კაცი**" **06.30, 19.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45** სერ. "**კაცი**" - ამოვარდა **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.30** დოკ/ფ "აგვისტოს ომი 1" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. "**მონკი-3**" **12.00** სერ. "**კრიმინალური რომანი**" 4 სერ. **13.00** მხ/ფ "**ჯეკი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია 8**" **17.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი 4**" **18.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი 5**" 1 სერ. **19.00** სერ. "**გრეის ანატომია 12**" **21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი**" 5 სერ. **22.30** მხ/ფ "**მღვდელი**" **00.15** მხ/ფ "**ილაის წიგნი**" **02.25** მხ/ფ "**სხვას გადაუხადე**" **04.45** მხ/ფ "**ჩემი პირადი აიდაჰო**" **06.40** მხ/ფ "**გახსოვდეს კვირა დღე**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.10** მულტ/სერ. "სისი" **09.35** დოკ/ფ "მოგზაურობა საფრანგეთში" **10.25** ავტომანი **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები**" დედამიწის ფორმა I ნაწ. **11.50** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **16.25** Hellow თბილისი **18.00** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** სერ. "**ფოილის 21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **0.00** მხ/ფ "**მზის ტყვეები**" **1.30** მოდი გავიყაროთ **03.00** ღია სტუდია **04.00** სერ. "**რაუ**"

**06.15** ღვთის სახლი "განთიადი და ბზიფი" **06.35** პატერიკი-მორჩილების ძალა **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** პატრიარქის ქადაგება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-კომოდო" **09.05** "განთიადი" კოლაჟი **10.15** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **11.00** საკვირაო სახარების განმარტება **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" **13.35** "შუადღის სტუმარი"-მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე-სექტების შესახებ **13.55** "შუადღის სტუმარი"-მამა ნიკოლოზ ანდღულაძე-ხეზე კვეთა **14.20** დ/ფ "ველური ბუნება-ლეოპარდები და გეპარდები" **15.05** ქართული ან/ფ **15.15** სპექტაკლი "**საქართველოს უკანასკნელი დედოფალი**" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეხუთე ნეტარება **18.15** ერთი დღე მონასტერში "მურმან ჯინორია" **18.30** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** გზა, რომლითაც ვიარე "გერონტი ქიქოძე" **19.20** მიწათმოქმედი "ფოკის მამათა მონასტერი" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** კვირიაკის სიუჟეტი-"შოთა მილორავა-**90**" **20.40** ძილი ნებისა "იესო იძლევა ნიშანს" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-რა არის ბედნიერება **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "წილკნის ღვთისმშობლის ტაძარი" **22.00** დეკორატიული ფლორა "ბეგონია" **22.15** შარავანდედი-სულხან-საბა ორბელიანი, წმ. მეფე სოლომონ II **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-"წინასწარმეტყველი მიქა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-მიხეილ საბინინი **23.45** ღვთის სახლი "ჭუბურხინჯი" **00.10** ჩვენი ფონდი "მაია ნინიძე-ილია მართალი" **00.30** კონცერტი

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**7 აგვისტოსთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3910 | ევრო — 2.8393 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1432 | 100 რუსული რუბლი — 3.9548 |

## ამინდის პროგნოზი 7 აგვისტოსთვის





**1 აგვისტოდან**




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი
მაია ბურჭულაძე
**უფასო ბილეთი წარსულში**
**ორშაბათის სიზმარი**
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**



**20 ივლისიდან**

შიო გვეტაძე
**მონანიება**
ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**





## ელისაბედ II-ის მეუღლე პენსიაზე გავიდა



დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი ფილიპი პენსიაზე გავიდა. ის უკანასკნელად დაესწრო ოფიციალური სტატუსით სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებას.

ბუკინჰემის სასახლის ტერიტორიაზე 96 წლის პრინცი ფილიპი დაესწრო საქველმოქმედო აღლუმს საზღვაო ფეხოსნების მონაწილეობით.

მომავალში ის დედოფალს თანხლებას მხოლოდ კერძო პირის სახით გაუწევს. ელისაბედ II-ის გრაფიკი არ იცვლება, თუმცა სამეფო ოჯახის სხვა წევრები დაეხმარებიან მას საკუთარი როლის შესრულებაში.

## მოდელი ბიანკა ბალტი კალიფორნიაში გათხოვდა

იტალიელი მოდელი ბიანკა ბალტი ამერიკელ მეთიუ მაკრეის გაჰყვა ცოლად. გოგონამ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე დაწერა: „საუკეთესო დღე ჩემს ცხოვრებაში“.



როგორც ერთ-ერთი ელიტური გამოცემა იუწყება, ქორწილის ადგილი გახდა ლაგუნა-ბიჩი. პატარძალს ეცვა დოლჩე და გაბანას თეთრი საქორწინო კაბა, რომელიც საგანგებოდ მოდელისთვის იყო შექმნილი.

ბალტი რეგულარულად თანამშრომლობდა მოდის ამ სახლთან. ის ასევე მონაწილეობდა რობერტო კავალის, კრისტიან დიორის, ვალენტინოს, არმანისა და მისონის ჩვენებებში.

იტალიელი მოდელისთვის ეს მეორე ქორწინებაა. ადრე ის გათხოვილი იყო ფოტოგრაფ კრისტიან ლუჩიდის ასისტენტზე. მისგან ბალტის ჰყავს გოგონა მატილდა. მოდელის მეორე გოგონა მიას მამა მაკრეია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



ცოლი ქმარს ეკითხება:
– გინდივარ?
– არა.
– ჭამა გინდა?
– მინდა.
– მერე, მათ შორის კავშირს გრძნობ?
– რა თქმა უნდა, სექსის გამო სამზარეულოში ნაკლებად ხარ!

●●●

გზაზე მიმავალმა მანქანამ ქათამი გაიტანა. მძღოლმა მანქანა გააჩერა, იქვე ეზოს ღობესთან მივიდა და იქ მყოფ ბებიას ეკითხება:
– ბებო, მანქანით ქათამი გავიტანე და შენი ხომ არ არის?
მოხუცმა გამოიხედა, გასრესილი ქათამი შეათვალიერა და უპასუხა:
– არა, შვილო, მე ბრტყელი ქათამი არ მყოლია.

●●●

კაცი დილით მაგარ „პახმელიაზეა“, საწოლზე წამოჯდა, ხელები თავზე შემოიწყო და კვნესით ამბობს:
– გუშინ პარასკევი იყო... ხვალ შაბათია... ღმერთო! ნეტავი დღეს რა დღეა?!

●●●

ბედნიერი ოჯახური ცხოვრების ოთხი წესი:
1.უნდა მოძებნო ქალი, რომელიც კარგად ამზადებს და ალაგებს;
2.უნდა მოძებნო ქალი, რომელიც დიდ ფულს შოულობს;
3.უნდა მოძებნო ქალი, რომელსაც სექსი უყვარს;
4.უნდა შეეცადო, რომ ისინი ერთმანეთს არასოდეს შეხვდნენ!

●●●

ფოსტალიონს ეზოში შესვლა უნდა, მაგრამ შიშით უყურებს უზარმაზარ ნაგაზს. დიასახლისი ეძახის:
– ნუ გეშინია, დაკოდილია!
– მე კი მეგონა, რომ ჩემთვის კბენა უნდოდა...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს.
– კარგით დაიწყე.
– მერე, ვინ გითხრა, რომ კარგი ამბავი მაქვს?

●●●

ლიტერატურის ლექტორი სტუდენტს ეკითხება:
– რომ შეგეძლოთ, ნებისმიერ მწერალს შეხვდეთ, ცოცხალს ან გარდაცვლილს, რომელს აირჩევდით?
– ცოცხალს...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.








**13 ივლისიდან**

ლაშა იმედაშვილი
**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**
**პატრიარქის ზაფხული**
ქართული დეტექტივი
ტომი 13
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


# ზაზა ფაჩულია საქართველოში ნბა-ს საჩემპიონო თასით ჩამოვიდა

საქართველოს ნაკრების კაპიტანი და გოლდენ სტეიტის კალათბურთელი ზაზა ფაჩულია საქართველოში ნბა-ის საჩემპიონო თასით ჩამოვიდა. ზაზა ფაჩულიას კლუბმა გასულ სეზონში ჩემპიონობა მოიპოვა.



ფაჩულიას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გულშემატკივრები დახვდნენ და გამარჯვება მიულოცეს. ზაზა ფაჩულიამ მათ ავტოგრაფებიც მისცა. როგორც ქართველმა კალათბურთელმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის ძალიან საამაყოა ამ თასით საქართველოში ჩამოსვლა.

– ამ დღეს დიდი ხანი ველოდი. ველოდი იმ მომენტის მერე, რაც დამსახურებულად გავიმარჯვეთ. სულ სხვა გრძნობა და ემოციაა, როცა შენს ხალხს უზიარებ ამ სიხარულს და ემოციას. ძალიან ბედნიერი ვარ ამ დღით და ბედნიერი ვარ, რომ ეს ბედნიერი დღე გამითენდა. ეს თასი, როგორც შეგპირდით, რამდენიმე დღე საქართველოში იქნება, ის საქართველოსია, ყველა თქვენგანისაა და შეუძლია ყველამ იამაყოს მისით. ამ ტიტულს ჩვენ ვერავინ ვერასდროს წაგვართმევს მთელი ცხოვრების განმავლობაში, – განაცხადა ფაჩულიამ.

**ინტერპრესნიუსი**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 7. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 8. ერთგვარი ძეხვი; 10. ხელის მტევნები, ჭურჭლის ფორმით მოხრილი; 11. მილიონერთა შვილების მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით; 13. ქუჩის სანათი; 16. ქალაქი შვეიცარიაში; 19. სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი მეთაური; 20. ყვავილების წნული.

**შვეულად:** 1. კლავესინის კლავიატურა; 2. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. სიმსივნეების მკურნალი; 4. დაგირავებული უძრავი ქონება; 5. აზოტმჟავის მარილები; 9. მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 12. ნავთობის გამოხდის თხევადი პროდუქტი; 14. საგნის მონახაზი; 15. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 17. სასწავლო დაწესებულება; 18. დიდი ზომის ანტილოპა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

